საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 27 დეკემბერი. 2016 წ. №242 (8134), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სხვა სხვისა ოჯში ბრძანია

ნაირა გელაშვილი: განახლებადი შრომის ენერგიები

4



დიახ, დაცემულია ქვეყანა, გაღატაკებულია ხალხი და მისი განათლებული ნაწილიც, ღრმაა დეგრადაციის პროცესი, მაგრამ მაინც არსებობს ის საქართველო, თავს რომ შეურაცხყოფილად თვლის, როცა განათლების მინიტრად ხან ციხეების უფროსს სთავაზობენ, ხან ბუღალტერს, ხანაც, ჰოი, ახალი, უნივერსალური, ლამის ჯადოსნური პროფილის მქონე პირს: „მენეჯერს“.

საქართველოს მინა განსაცდელშია!

საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი წევრების პოზიცია, ისევე როგორც ორივე ზემოხსენებული პარლამენტის პოზიცია სხვაგვარად ვერ გაიგება, თუ არა, როგორც შეგნებული შეთქმულება საქართველოს, როგორც ქვეყნის წინააღმდეგ, მისი მოსახლეობის, როგორც ერის (Nation) წინააღმდეგ და საქართველოს სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ.

3

ეროვნული კოლორიტი

ოთოია (!!!) კახიძე, შენ დედა გყაავს?

2

შალვა ნათელაშვილი:

მე მამალი ვარ, მამლაყინწა!

შალვა ნათელაშვილი ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. „ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა“ და მისმა მხარდამჭერებმა გუშინ ბიძინა ივანიშვილის სახლთან აქცია გამართეს.

„მე მას ვაფრთხილებ კიდევ ერთხელ საჯაროდ და სახალხოდ, მისივე კარიბჭესთან, ჩაატარე ახალი საპარლამენტო არჩევნები და მოუსვი ქვეყნიდან შენი ბანდიანად. შენ არაფერი აღარ გეშველება, შენ და შენი გუნდი ვერაფერს ველარ გამოასწორებთ,“ — დაიჩხავლა შალვა ნათელაშვილმა.

გიორგი ლეონიძე

„ვეფხისტყაოსანს“

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი...
აგცქერი;
წიგნი კი არა – ჟრჟოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა – ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!

წიგნი კი არა – დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

ქაღალდზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან;
გბეჭდვენ –
ნიშნები სტამბური
ვარდებად აყვავდებიან.

გკითხულობენ და გმღერიან
ლხენით გულ-დამერცხლებული;
შენგან ჰყავს ხალხის
სიცოცხლეს
სიკვდილი დამარცხებული!

*

უთენებელი მნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!

შენ არ გჭიროდა სახიზრად
გამოქვაბულთა წყვდიადი.
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი.

გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი.

შენ ხმალის ღარზედ ეწერე,
ანდერძი ოქროსხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

*

წიგნო, წინ მიუძღვებოდი
ხალხს უკვდავების ნაღარით;
შენ გწერდა დიდი რუსთველი,
თავსოქროგადანაყარი.

შენ გწერდა ცისკრის კამკამი,
ხევთა ხმა, ზვავის ზრიალი;
შენს კალამს ორბი ჰზიდავდა,
ტყავს – ვეფხვი თანაზიარი.

შენ გწერდა ქალის წამწამი,
ვაჟკაცის მკერდი გმირული,
შენ ხალხი გწერდა მხედარი,
ბრძოლით გულამოკირული.

შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ
გული არ დაგიძველდება,
სიმღერა, დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება!

აახმაურე სამშობლო,
კარისკარ ჩამოიარე;
ზოგს პურმარილზე შეესწარ
და ზოგს უხვევდი იარებს.

მიჯნურს გულადუღებულსა,
სიცოცხლეს დაუელვარებ;
ხელში ხმალს აძლევ მოელვარეს.

სიყვარულს სიყვარულითა,
ძმობით ძმას ეპასუხები,
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,
დავდგებით, როგორც მუხები.

*

შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ,
დიდია შენი სახელი;
მთების სიბრტყენი გადასჭერ,
სამშობლოს გარეთ გახველი.

შენი სიბრძნე და ოცნება
გულში აქვთ გამოკვანძილი;
ჩამოურიგდი ქვეყანას,
როგორც დიდი მზის ნაწილი.

კარებს გიღებენ ტკბილ სტუმარს
ქალაქები და სოფელი,
სიმღერა, გულში ნათქვამი,
გახდი მსოფლიოს მფლობელი.

გაქანდი, ოქროსფრთიანო,
გასცდები ქვეყნის ნაპირსა, –
შენ, დედაჩემის მზითევო,
ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

1899 წლის 27 დეკემბერი

მიხეილ ჯანელიძე: მომავალი წელი ნატო-საქართველოს ურთიერთობებში ძალიან აქტიური იქნება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე აღნიშნა, რომ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს პრემიერი შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს, სადაც განიხილეს თანამშრომლობის ყველა დეტალი, ასევე ის პროგრესი, რომელიც საქართველოს აქვს ნატოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის კუთხით.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, იანვარში იგეგმება ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისია, რომელზეც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი წარადგენს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას.

ჯანელიძის ინფორმაციით, თებერვალში არის ნატოს თავდაცვის მინისტერიალი, სადაც საქართველო მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.

„ჩვენ მოთხოვნილი გვაქვს ასევე ნატო-საქართველოს კომიისის სხდომა თავდაცვის მინისტრის მონაწილეობით. მარტში დაგეგმილია ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, რომელიც შეაფასებს თავდაცვის სფეროში მიმდინარე ჩვენს რეფორმებს.

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ძალიან პოზიტიურად და დადებითად შეფასდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი რეფორმები ნატოს გენერალური მდივნის და ნატოს მხრიდან. მარტში ასევე დაგეგმილია სტარატეგიული კომუნიკაციების საკითხზე შეხვედრა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაისში გაიმართება ნატოს საპარლამენტო ასამბლეა. ამისთვის ჩვენ ყველა ერთად ვემზადებით და ასევე ნატოს გენმდივანი აპირებს ამ ღონისძიებაზე დასწრებას.

დაგეგმილია ნატოს სამიტი 2017 წელს, თუმცა ეს იქნება მინი სამიტი, რაც გულისხმობს იმას, რომ იქნება მხოლოდ წევრებზე ორიენტირებული და სხვა ფორმატები არ იქნება გათვალისწინებული. მაგრამ, ჩვენ რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას და თუ იქნება სხვა ფორმატები, საქართველოც იყოს წარმოდგენილი. ჩვენ კონცენტრაციას ვაკეთებთ 2018 წლის სამიტზე, სადაც ჩვენი ძირითადი პრიორიტეტები იქნება წარდგენილი.

შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხითაც ვაგრძელებთ დიალოგს და გაიმართება სხვადასხვა ფორმატებში განხილვები“, — განმარტა მიხეილ ჯანელიძემ.

კვალიფიციური კადრები შენარჩუნდა!

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მის უწყებაში ოპტიმიზაცია ვაკანსიების ხარჯზე განხორციელდა და უწყების მიერ კვალიფიციური კადრები შენარჩუნდა:

„ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი საშტატო სტრუქტურის ოპტიმიზაცია. რეორგანიზაციის ფარგლებში მოვახდინეთ სტრუქტურული ცვლილებები დეპარტამენტების რეორგანიზაციის სახით, თუმცა შევეცადეთ, ის კვალიფიციური კადრები შეგვენარჩუნებინა, რომლებიც ქართულ დიპლომატიაში მსახურობენ და ეს მოვახერხეთ ვაკანსიების ხარჯზე“, — განაცხადა მინისტრმა.

ოთოია (!!!) კახიძე, შენ დედა გყაავს?

ნოდარ დუმბაძეს დავესესხე და ვუთვლი ვინმე ოთოია კახიძეს: ახლა მე ისეთ ასაკში ვარ, თავად თუ არ მოვიჭამე, შენნაირი ტიპები და ძმანნი შენნი ვერ მომჭამთ... „იმას“!!!

„...ისე, ეფესბეს ტელევიზიიდან და „ასავალ დასავალის“ სტილში ბინძური ჭორების ტირაჟირება ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ამით არის დაკავებული კილაძე, ინაშვილის ტელევიზია, „ასავალ დასავალი“ და ნუგზარ ფოფხაძის სხვა „მედიასაშუალებები“, — ეს კომენტარი გამომიგზავნეს. ღიმილისმომგვრელი!

მეგონა ვინმე შიზოიდი იყო ავტორი. ნურას უკაცრავად, ეს სტრიქონები ეკუთვნის ზრდასრულ ადამიანს, იუსტიციის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ახლა თურმე პარლამენტის დეპუტატს (ნაცმოძრაობის სიით გასული) — ვინმე ოთო (!!!) კახიძეს და თემა დაკავშირებულია ნაცმოძრაობის წიაღში მიმდინარე პროცესებთან. ესღა მაკლდა. ვითომ არ მეყოფოდა გასილაქებული კანდელაკების, ურცხვი დარჩიაშვილების და სხვა, მათი მსგავსების და მათივე „კარვის ქალების“ ბოდვები, ეს „ბიჭუშკაც“ რომ არ გამბლანდვოდა ფეხებში... მთლად ბრმა და ყრუ, აბსოლუტურად არაინფორმირებული ტიპი უნდა იყო, ან ავადმყოფური ფანტაზიით შეპყრობილი, ანდა, ნამეტნავად დიდი „ბოსის“ დავალებას უნდა ასრულებდე, რომ ამ პროცესებს დაუკავშირო ჩემი ან „რეპორტიორის“ სახელი. ეტყობა, „ხურდაში“ მომაყოლა, ამ „დარეხვილმა“. ჩემმა კოლეგებმა გამახსენეს, რომ ვანო მერაბიშვილის პროცესზეც ეს ადვოკატად „მოლაქლაქე“ ტიპი არცთუ იშვიათად „ატრიალებდა“ ჩემს გვარს და ეჭვქვეშ აყენებდა რეზინის ტყვიებით მრავალგზის „დახვრეტილი“ მოწმის ჩვენების ობიექტურობას, იმ მოტივით, რომ ოდესღაც იგი იყო... ჩემი სტუდენტი! ვენაცვალე „ლოგიკაში“ ასე განსწავლულ ადვოკატს. ვაი იმ პარტიას, იმ საპარლამენტო ფრაქციას, სადაც მისი „სახე“ და „მოლაპარაკე თავი“ ბაზრის დედაკაცივით ტლიკინებს! უბრალოდ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ვარლამ არავიძის შეკითხვისა არ იყოს: ოთოია (!!!) კახიძე, შენ დედა გყავს? მამაც?! მშობლებმა უფროსუმცროსობა და ზრდილობის ანა-ბანა რომ არ გასწავლეს ბავშვობიდან, ეს ცხადია. მაგრამ, პროფესიულ კულტურას ვინ გაზიარა, ვინ გაკვალიანებდა, ბიჭუნა? ვის გავუგზავნო საჩუქრად აკაკის „გამზრდელი“? ჰოდა, სწორედ ამ შეკითხვების ადრესატებამდე მიტანაში გთხოვთ დახმარებას, ჩემს ფბ-მეგობრებს! რაც შეეხება მთავარ ადრესატს, თავად ჭორიკანას და შუბლზე ძარღვგაწყვეტილ კაცუნას, ასევე მისნაირებს, ნოდარ დუმბაძის ერთ პასუხს შევახსენებ მაშინდელ ცილისმწამებელ ერთ ვინმე „ოთოია კახიძისადმი“: ახლა მე ისეთ ასაკში ვარ, თავად თუ არ მოვიჭამე, შენნაირი ტიპები და ძმანნი შენნი ვერ მომჭამთ...“ იმას“!!!

ნუგზარ ფოფხაძე.

P. S. უკაცრავად, მეგობრებო! არც ჩემს ასაკს, სტატუსს და არც ოჯახში აღზრდას ეს ტონალობა და ტერმინოლოგია არ ეკადრება. მაგრამ, ვიდრე ადვოკატი იყო და მერაბიშვილს იცავდა, მის როშვაზე არ ვრეაგირებდი, რამეთუ პატიმარს (!) იცავდა და... თანაც, ანგარიში გავუწიე მობოდიშების მიზნით მოსულ ჩემს ახლობელ მსტოვარს, რომელმაც სასამართლო პროცესზე ადვოკატის „ულურტული“ მის ახალგაზრდულ (?) ასაკს და პროფესიულ „ეშმაკობას“ მიაწერა. ახლა, როცა „სამწუხარო-სასაცილო“ საარჩევნო წესების გამო ამ კარიკატურას „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“, მოვიდა მისნაირებისთვის ადეკვატური პასუხის გაცემის დრო! ამასთან, მას და მის ზოგიერთ კოლეგას არ აწყენდა იმის შეხსენება, თუ რა ეკადრება და რა არა დეპუტატს (!). შეიგნეთ, რომ უფლების გარდა, დეპუტატს მოვალეობა და პასუხისმგებლობაც აკისრია. და თუ ვინმეს გონია, რომ პასუხს არავინ მოთხოვს, ერთობ ცდება! ამჯერად, ამ რეპლიკით დავკმაყოფილდეთ. დაე, მყრალადმეტყველმა საჯარო პირმა მოითმინოს იმის მეათედი „იარლიყებისა“ და „შეფასებებისა“, რასაც სხვისთვის იმეტებდა და იმეტებს, მით უმეტეს, იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მას ასაკით მშობლებად, ბებია-ბაბუებად შეეფერება...



ნ. ფ.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ფარული მიყურადება პოლიტიკური მიზნებისთვის არ უნდა გამოიყენებოდეს

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ფარული მიყურადება პოლიტიკური მიზნებისთვის არ უნდა გამოიყენებოდეს და ამისთვის კანონში შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს, — განაცხადა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ ე.წ. მოსმენების კანონში ცვლილებების საკითხზე კომენტირებისას:

„ჩვენ ამ კანონპროექტზე მუშაობას არ ვიწყებთ მუშაობას სუფთა ფურცლიდან, ჩვენ გვაქვს საკმაოდ მძიმე ისტორია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსმენა, ფარული მიყურადება საქართველოში გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური დევნისა და შანტაჟის იარაღი, სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს საკმაოდ მკაცრი მიდგომის შემუშავება. ჩვენ არ ვართ ერთი ჩვეულებრივი ევროპული, ლიბერალ-დემოკრატიული ქვეყანა, არამედ ჩვენ გვაქვს ისტორია, სადაც მოსმენა პოლიტიკური დევნის საშუალება იყო,“ — განაცხადა ანა დოლიძემ.

მოვძებნით საუკეთესო ბალანსს, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება დავიცვათ!

მართლმსაჯულების შესახებ კანონი და სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწა იყო შეხვედრის მთავარი თემა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, სადაც საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა გუშინ გაიმართა. კიდევ ერთი მთავარი თემა იქნება ე.წ. მოსმენების კანონი, რომელიც პარლამენტმა მარტის ბოლომდე უნდა მიიღოს.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანოში მუშაობა უკვე დაწყებულია.

„ამ ეტაპზე ვართ კვლევით პროცესში და ვეცნობით სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკას. როგორი უნდა იყოს და სად უნდა იყოს ეს სისტემა, ამაზე უკვე ჩვენ გვექნება სამუშაო პროცესში საუბარი. ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ მოვძებნით საუკეთესო ბალანსს იმისთვის, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება იყოს დაცული და მეორე ძალიან მნიშვნელოვანი უფლება ჩვენი მოსახელობის, უსაფრთხეობის განცდა, უსაფრთხოდ ყოფნის ყველა წინაპირობა იყოს გარანტირებული“.

საახალწლო საჩუქარი დევნილთა ოჯახებისთვის

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ თბილისში, ახალაშენებულ კორპუსებში 400 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ბინა გადასცა.

დადიანის ქუჩაზე 200 დევნილ ოჯახს ახალი ბინების გასაღებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გადასცეს. თბილისის ზღვაზე, ეგრეთ წოდებულ „ოლიმპიურ სოფელში“ არსებული 200 ბინის გასაღებებს კი დევნილი ოჯახები 2017 წლის იანვარში მიიღებენ.

დევნილთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, 200 დევნილი ოჯახი ახალ წელს ახალ ბინებში შეხვდება.

„400 დევნილ ოჯახზე გავანაწილეთ ბინები ერთი კვირის წინათ. ამ 400 ბინიდან 200 არის თბილისის ზღვაზე, 200 ოჯახს კი თბილისის ცენტრში, დადიანის ქუჩაზე გადავცემთ ბინებს. თუ ვის სად და რომელ სართულზე შეხვდებოდა ბინა, კენჭისყრის პროცედურის დროს თავად დევნილებმა აირჩიეს. ერთადერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პირველი სართულები იყო განკუთვნილი და კორპუსს აქვს ადაპტირებული შესასვლელი. 200 ოჯახი დღეს იზეიმებს ახალმოსახლეობას და შესაძლებლობა ექნებათ, რომ ახალ წელს ახალ ბინებში შეხვდნენ. რაც შეეხება დარჩენილ 200 ოჯახს, ვინც თბილისის ზღვაზე მიიღებს ბინებს, სავარაუდოდ, მოვასწრებთ, რომ ძველით ახალ წელს ისინიც საკუთარ სახლებში შეხვდნენ“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

დადიანის ქუჩაზე, ახალაშენებულ კორპუსებში არსებული 200 ბინიდან, 148 — ერთოთახიანი, 27 — ოროთახიანი და 25 — სამოთახიანია. 2012 წლიდან დღემდე, თბილისში საცხოვრებელი ფართით 1800-მდე დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა.



საქართველოს მიწა განსაცდელშია!

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გატანა ღია ბაზარზე, სადაც დღეს არ არის საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე, პრაქტიკულად ნიშნავს ერთ თაობაში საქართველოს თითქმის მთელი მიწის გადასვლას უცხოელების ხელში!

ხელისუფლების გაუანალიზებელი გადაწყვეტილებით, საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქე რჩება ბოგანოდ, რომელიც იძულებული იქნება იწანწალოს მთელ მსოფლიოში უპრესტიჟო დროებითი დასაქმების საძიებლად.

ამის განჭვრეტას არ სჭირდება არც სპეციალური და არც ზოგადი განათლება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ მმართველ ინსტანციებში დასაქმებულ პირთა შორის ისეთ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან საქართველოს მთელი მიწა გაყიდვის საგნად აქციონ!

ისინი ვერ ხვდებიან, რომ მათ შთამომავლობას, ძალიან მცირე გამონაკლისით, საქართველოს გარეთ პერსპექტივა არ ელით!

საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის რადიკალური შეცვლა – ქართველების გასვლა საქართველოდან და უცხოტომელთა მასობრივი შემოსვლა – არსებითად ერთი, მაქსიმუმ ორი თაობის განმავლობაში მოხდება!

ერთი (ან ორი) ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული უკვე მომხდარია: **სააკაშვილმა სრული სოციალური უჩინარობიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მდგომარეობამდე მოიყვანა გიორგი პაპუაშვილი,** რომელმაც გააყალბა საქართველოს კონსტიტუცია. სახელდობრ: **სასამართლოს დადგენილებაში უცხოელი მოქალაქის სარჩელზე მიიღო განსაზღვრება, რომ ყოველგვარი შეზღუდვა უცხოელების საკუთრებაზე საქართველოს მიწის მიმართ არის უკანონო.** სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება დაემყარა ორ სიყალბეს:

პირველი, რომ მიწის ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის არის საკუთრების შეზღუდვა, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს შეზღუდვა ხდება სათანადო ანაზღაურებით. სინამდვილეში თუ ანაზღაურება ხდება, მაშინ არა აქვს ადგილი საკუთრების არანაირ შელახვას.

მეორე, კონსტიტუციის ფორმულირება (მუხლი 21 პუნქტი 2) **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნული უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესით“** უგულებელყო იმ საფუძველზე, რომ სასამართლო ვერ ხედავს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას – **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არ გავიდეს სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების საკუთრებიდან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს ორივე ხსენებული პოზიცია იმდენად აბსურდულია, რომ შეუძლებელია მასზე იდგეს შერაცხადი პიროვნება, მით უმეტეს – კვალიფიკაციით იურისტი!**

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მოქმედება სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა, როგორც შეგნებული დანაშაული ქვეყნისა და ერის წინაშე!

შეგახსენებთ, რომ მოპასუხედ ამ პროცესზე იყო საქართველოს პარლამენტი (თავმჯდომარე **დავით ბაქრაძე**). მან არ შეასრულა თავისი მოვალეობა: **არ დაიცვა კონსტიტუცია ყალბი ინტერპრეტაციისგან და არ მოითხოვა ექსპერტიზა თემაზე – არის თუ არა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ტოტალური გადასვლა უცხოელთა საკუთრებაში ისეთი საშიშროება, რომლისგანაც დაცვა წარმოადგენს „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ – არის თუ არა საკუთრების შეზღუდვა „მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით“ „საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება“?!**

საქართველოს პარლამენტმა ეს არ მოითხოვა მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო „სასამართლოს მეგობართა“ პოზიცია, რომელშიც გაანალიზებული იყო უცხოელებზე მიწის გაყიდვის მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები!!!

ანალოგიურად მოიქცა საქართველოს შემდეგი მოწვევის პარლამენტიც (თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**): მან არ მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა ამავე თემაზე, მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე, თავის ზემოხსენებული დადგენილებით დააკმაყოფილა უცხოელი მოქალაქის სარჩელი, რომელიც მიწის გაყიდვაზე დროებითი მორატორიუმის გაუქმებას ითხოვდა.

მიგვაჩნია, რომ **საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი წევრების პოზიცია, ისევე როგორც ორივე ზემოხსენებული პარლამენტის პოზიცია სხვაგვარად ვერ გაიგება, თუ არა, როგორც შეგნებული შეთქმულება საქართველოს, როგორც ქვეყნის წინააღმდეგ, მისი მოსახლეობის, როგორც ერის (Nation) წინააღმდეგ და საქართველოს სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ.**

ჩვენი აზრით, სათანადო სამართლებრივი დევნა დამნაშავეთა მიმართ, გარდაუალია. ჩვენი შეუვალი მიზანია ეს დევნა შედგეს.

დამნაშავედ დაკვალიფიცირდება საქართველოს მთავრობაც, რამდენადაც ვიცით, მას განზრახული აქვს კანონპროექტის შეტანა, რომელიც **უშვებს არა მარტო უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაუყოვნებლად მიყიდვას, არამედ, იმავეს უშვებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზეც, რაც ყოვლად დაუშვებელია.**

სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ აცდება საქართველოს პარლამენტს და მის ყველა წევრს, ვინც ამ კანონპროექტს ხმას მისცემს.

ხსენებული კანონპროექტის მიღება პარლამენტის მხრიდან იქნება უფლების უზურპაცია: პარლამენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს გარდასულ თაობათა წინაშე, დღეს ცოცხალი მოსახლეობის წინაშე, რომელთანაც იგი მიწის გაყიდვის პროგრამით არ წარმდგარა და მომავალ თაობათა წინაშეც, რომლებსაც იგი, დანაშაულებრივი კანონის მიღების შემთხვევაში – მეორეხარისხოვანი ადამიანების – უმიწაწყლო ერის – ხვედრს უქადის.

ანალოგიურ სიტუაციებში – სახალხო რეფერენდუმის ჩატარება – ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა. კიდევ ვიმეორებთ: პასუხისმგებლობა მძიმეა. იგი არავის არ აცდება. ეს არის არა მხოლოდ პროგნოზი, არამედ, საქართველოს მოსახლეობის მყარი ნება!

P. S. დემოკრატიული მსოფლიო მიწათსარგებლობის თემას უკიდურესი სიფაქიზით ეკიდება. სხვა დამოკიდებულება მხოლოდ ხელისუფლების ჰორიზონტის შეზღუდულობაზე, უპასუხისმგებლობაზე და უპერსპექტივობაზე მეტყველებს!

ნოდარ ნათაძე, მამუკა გიორგაძე, პაატა კოლუაშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

რედაქცია პასუხს ელოდება ხელისუფლებისგან!

„ღორების პასპორტი“ და მინისტრის განმარტება

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აცხადებს, რომ ღორებთან დაკავშირებულ რეგულაციებზე თემა არასწორად წარმოჩნდა და თემის ტირაჟირება მახინჯი ფორმით მოხდა. მისი თქმით, აღრიცხვა-იდენტიფიკაციის წესი ვრცელდება ყველა ცხოველზე და უკავშირდება მათი ჯანმრთელობის კონტროლს.

„ეს არის აღრიცხვა-იდენტიფიკაციის წესი, რომელიც ყველა სხვა ცხოველსაც უკავშირდება, რაც ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ საბოლოოდ, უსაფრთხო სურსათი ჰქონდეს მოსახლეობას. ეს არის ის, რომ ჩვენი სურსათის უვნებლობა იყოს შესაბამისობაში ევროპის მოთხოვნებთან და ჩვენც ისეთივე დონის სურსათის უვნებლობის სტანდარტები გვქონდეს ქვეყანაში, როგორიც ევროკავშირს“, – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ნაცი ირაკლი აბესაძე მაინც „დააწინაურეს“

პარლამენტის **თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, 12-ხმით ერთის წინააღმდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირაკლი აბესაძე აირჩიეს. აღნიშნულის გამო უკმაყოფილება გამოთქვა „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატმა ემზარ კვიციანმა. „ქართული ოცნება“ მან ენმ-სთან გარიგებაში დაადანაშაულა.**

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განმარტებით, „ქართული ოცნება“ არანაირ გარიგებაში არ არის „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მისი თქმით, წინა კენჭისყრაზე ვინც მიიღო ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა, შესაბამისად, მისი კანდიდატურა იყო დღეს დაყენებული.

გიორგი გასვიანი მთავარ პროკურორს შეხვდა

ჟურნალისტი გიორგი გასვიანი მთავარ პროკურორს შეხვდა. გასვიანის თქმით, მან ირაკლი შოთაძისგან პირობა მიიღო, რომ ჟურნალისტის ცემის საქმეს ეფექტურად გამოძიებენ.

„იმ შეკითხვებზე, რომელიც მე მქონდა კონკრეტულად საქმის დეტალებზე, პასუხები მივიღე, როგორც საოლქო პროკურორისგან, ასევე ირაკლი შოთაძისგან. ირაკლი შოთაძესაც გაუჩნდა რამდენიმე შეკითხვა, რომელიც მას ჰქონდა საოლქო პროკურორთან. მეუბნებიან, რომ არაფრის გაჭიანურება არ ხდება. არანაირი ჩარევა არ მოხდა, ამის პირობა და გარანტია მივიღე, მოხდება მათი დასჯა,“ – განაცხადა გასვიანმა.

◎ რეპლიკა

ეს რა უთქვამს მინისტრს?

23 დეკემბერს, 12 საათიდან ტელეკომპანია „ივერიაზე“ ასაკოვანმა თუ ახალგაზრდამ, იურისტმა თუ სხვა დარგის წარმომადგენლებმა, თითქმის ერთი საათი მოანდომეს იმის განხილვას,უნდა ეთქვა თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სისტემა „ბალასტისაგან“ გაიწმინდოს.

აი ჩვენს პატრონს, რა გვეშველება, როგორ გაბედა მინისტრმა ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვის ხმარება, როგორიცაა „ბალასტი“.

ყველაფრის მცოდნენო, თქვენ არ იცით, მაგრამ მსმენელი რატომ შეგყავთ შეცდომაში, როცა ამ სიტყვას უცხო ენათა ლექსიკონში სულ სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე თქვენ გგონიათ, აი ისიც:

ბალასტ-ი-ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს:

1)ტვირთი აეროსტატის ჰაერში ასვლის მოსაწესრიგებლად ან გემის წონასწორობის განსამტკიცებლად. ქართული შესატყვისი „სამძიმი“,

2)გადატანითი-ზედმეტი, უსარგებლო რამ;

3)რკინიგზის ვაკისზე დაყრილი ხვინჭა და ღორღი,შპალებისათვის მდგრადობის მისაცემად (მიხეილ ჭაბაშვილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ 1999წ. გვ.33).

ამ გადაცემის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება – ავტორს ის კი არ აინტერესებდა, რომ ასეთი „უცენზურო“ სიტყვა გამოიყენა მინისტრმა, არამედ ის, რომ გადაცემაში მოიწვია ის პირები, რომელთაც მინისტრის მიმართ ჰქონდათ გარკვეული პრეტენზიები. ამასთან, გადაცემა მიმართული იყო მართლმსაჯულების მიმართ, რომ რაც შეიძლება მკაცრი სასჯელი გამოუტანონ გადაცემის ავტორის თავდამსხმელებს.

ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მართლმსაჯულების გადაწყვეტილებამდე, ასეთი გადაცემა სხვა არაფერია, თუ არა მიზანმიმართული ქმედება. ასეთია ჩემი მოსაზრება და ვინც ნახა ეს გადაცემა, ალბათ, მათაც ასეთი შთაბეჭდილება დარჩებოდათ. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ძალადობა დასაგმობია და ყოველთვის მზად ვართ ასეთის აღსაკვეთად, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მართლმსაჯულების გადაწყვეტილებამდე არავის არ უნდა გამოვუტანოთ ერთპიროვნული განაჩენი.

ცეზარ ლაშხი,
ტელეკომპანია „ივერიის“ მსმენელი და მისი პოზიციის მხარდამჭერი, საჩხერის რაიონის მცხოვრები.

განახლებადი უძრაობის ენერგიები

საქართველოს განათლების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას (და არა მხოლოდ მას)!



დიახ, დაცემულია ქვეყანა, გაღატაკებულია ხალხი და მისი განათლებული ნაწილიც, ღრმაა დეგრადაციის პროცესი, მაგრამ მაინც არსებობს ის საქართველო, თავს რომ შეურაცხყოფილად თვლის, როცა განათლების მინიტრად ხან ციხეების უფროსს სთავაზობენ, ხან ბულალტერს, ხანაც, ჰოი, ახალი, უნივერსალური, ლამის ჯადოსნური პროფილის მქონე პირს: „მენეჯერს“.

მაშასადამე, გაფიცული სტუდენტები „დამნაშავეები“ ყოფილან. დამნაშავე კი უნდა დაისაჯოს.

ამის თაობაზე პირდაპირ მოგახსენებთ არა მხოლოდ ჩემს აზრს: დანაშაული თქვენი მაგ პოსტზე ყოფნაა, პატივცემულო მინისტრო. და თან ძალიან დიდი დანაშაული. რადგან: როგორც არ უნდა დაატანოს ძალა კულტურული მგრძნობელობის მქონე ადამიანმა საკუთარ თავს, ვერაფრით მოახერხებს თქვენს აღქმას კულტურასა და განათლებასთან კავშირში. და ვერ მოახერხებს ამას თუნდაც მხოლოდ თქვენი მანერების, საერთო იერისა და თავდაჭერის გამო, სულაც რომ აღარ დახარჯოს ენერგია ხალხური ზეპირსიტყვიერებისა თუ სხვა სერიოზული საკითხების თქვენეულ, ტრაგიკომიკურ ინტერპრეტაციათა ჩხრეკით; სულაც რომ აღარ აიშალოს ცხოვრებით ისედაც გაფცქვნილი ნერვები თქვენეული კალამბურებით, რომლებიც რესტორნის დონესაც კი არ შეეფერება, არამედ — უფრო დუქნისას, სადაც ახლად ნაქეიფარზე უყვართ ხოლმე ოხუნჯობები.

დიახ, დაცემულია ქვეყანა, გაღატაკებულია ხალხი და მისი განათლებული ნაწილიც, ღრმაა დეგრადაციის პროცესი, მაგრამ მაინც არსებობს ის საქართველო, თავს რომ შეურაცხყოფილად თვლის, როცა განათლების მინიტრად ხან ციხეების უფროსს სთავაზობენ, ხან ბულალტერს, ხანაც, ჰოი, ახალი, უნივერსალური, ლამის ჯადოსნური პროფილის მქონე პირს: „მენეჯერს“. და როგორ მენეჯერს! თავისი მარიფათიანი მიდგომ-მოდგომით ბოლს რომ აადენს და მილეწ-მოლეწავს ზღაპრის ფაქიზ სამყაროს თუ განათლების შესახებ ტრადიციული, ჰუმანიტარული წარმოდგენების სივრცეს, რის შესახებაც მას, კაცმა რომ თქვას, წარმოდგენა არა აქვს.

მოკლედ, მაგ ყოვლად უიღბლო თანამდებობაზე თქვენმა მოულოდნელმა გამოჩენამ ხალხის გაბრაზება კიდევ ერთხელ დაატეხა თავს ... ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რადგანაც უკანასკნელი ხანების ტრადიციით, ცნობილ მიზეზთა გამო, ყველაფერი მას ბრალდება. მერე ხმა დაირხა, რომ თქვენ მისი კი არა, არამედ პრემიერ-მინისტრის „კადრი“ ყოფილხართ. და ახლა ამ ადამიანს დაეფინა მძიმე ჩრდილი, ადამიანს, რომელიც ნამდვილად სარგებლობდა ნდობითა და სიმპათიით, და რომელსაც ახლა სხვა პრობლემებიც საკმაოდ დაუხვავდა, ისე რომ, სულ არ სჭირდება, თქვენც ურთულებდეთ ისედაც გართულებულ მდგომარეობას. ცხადია, მისი მხრიდან თქვენი მაგ პოსტზე დანიშვნა ფატალური შეცდომა იყო, შეცდომა, რომელიც არ უნდა აკადრო შენს ხალხს, შენს, არცთუ უმნიშვნელო სულიერი მემკვიდრეობის შემქმნელ, ქვეყანას.

ბატონო ალექსანდრე, თქვენს ადგილას გადავდგებოდი და პრემიერს მდგომარეობას შევუმსუბუქებდი. ყველა ტელე-შოუს კარი თქვენთვის მაინც ღია დარჩებოდა და თქვენც სიმღერ-სიმღერით მოუყვებოდით მაყურებელს თქვენს თავგადასავალს.

მაგრამ ობიექტურობისათის გავიხსენოთ საკითხის უახლესი ისტორია: დღევანდელი ხელისუფლების მსოფლმხედველობა განათლებასთან დაკავშირებით ყველაზე ზუსტად მაშინ დასურათხატდა, როცა 2012 წელს ენერგეტიკის მინისტრად ფეხბურთელი დაინიშნა, განათლების მინისტრად კი მენეჯერ-ბუღალტერი, რომლიც თავის შემცვლელად წარადგინა მაშინ ამ პოსტზე მყოფმა განათლებით ფილოსოფოსმა გიორგი მარგველაშვილმა(!). ხოლო თავად მომავალმა პრეზიდენტმა, როცა ის განათლების მინისტრად დანიშნეს, პირველი, რაც განაცხადა, ეს იყო: „ჩემს უპირველეს მოვალეობად ფინანსების მოზიდვა მიმაჩნიაო“, თითქოს განათლების შინაარსობრივი მხარე მაღალ გონებათა მიერ უკვე დადგენილი იყო, მაშინ როცა, ერთ ბოლომდე ხეირიან სასკოლო სახელმძღვანელოს ვერ ნახავს კაცი.

ამ ყველაფრით ხომ უკვე მაშინ უცხადესად ითქვა, რომ განათლება, კაცმა რომ თქვას, საერთოდაც ზედმეტია! ფულის საშოვნელად მთავარი მენეჯერობა და მარიფათიანობაა! და თუ ფული გაქვს, მაშინ საერთოდ რაღა თავში იხლი ამ განათლებას! მით უმეტეს, რომ, სოლომონ ისაკიჩს თუ დავუჯერებთ, წიგნების კითხვამ შეიძლება ჭლექიც გაგიჩინოს.

ჰოდა, კაცმა რომ თქვას, რაღას ვერჩით ბატონ ჯეჯელავას! მაგრამ ვერჩით! იმიტომ რომ ბოლო წვეთის როლს ასრულებს და საზოგადოებასაც მეტის მოთმენა აღარ შეუძლია!

ახლა რაღა აზრი აქვს იმის გახსენებას, რომ კულტურისა და განათლების ცნებებს ყველა ეპოქაში, მით უფრო დიდი კატაკლიზმების შემდეგ და პირისპირ თავიდან გააზრება სჭირდება. აზროვნება კი ჰუმანიტარულ სფეროს განეკუთვნება, სფეროს, რომელიც ისეთი აბუჩად აგდებული აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა კაპიტალიზმის ტექნოკრატ-საქმოსანთა ლეგიონების მიერ, როგორიც არასდროს ყოფილა კომუნისტების ეპოქაში.

უკვე აღებულია საკრალური სიმაღლეები: კომპიუტერი, ინგლისური და სხვა უცხო ენები, თანაც ერთბაშად, პირველივე კლასიდან! მთლიანად დანერგილია გამოთაყვანების თანამედროვე მეთოდოლოგია.

მოკლედ, თავი დავანებოთ მაღალ მატერიებს და ვიკითხოთ: ხომ შეიძლება მინისტრი გაუნათლებელი იყოს, მაგრამ ადამიანური გაბედულება, სისწორე და ახალგაზრდების მიმართ მამა-შვილური თანაგრძნობა, გაგების სურვილი გაჩნდეს? თეორიულად, რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგრამ, პრაქტიკულად, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას შინაგანი მდგომარეობა ამ მხრივაც ფრიად ნაკლულოვანი აღმოჩნდა.

მაგრამ, ცხადია, არა მხოლოდ მისი.

და აქ ჩემი პირდი გამოცდილებაც უნდა მოვიშველიო: ამ ზაფხულს იძულებული გავხდი, წერილობით მეთხოვა მინისტრისათვის, საქმეში ჩარეულიყო ერთ უსამართლობასთან დაკავშირებით. კერძოდ: ცხინვალიდან ორგზის დევნილი ოჯახის შვილმა, ძალიან კარგად მომზადებულმა ახალგაზრდამ შესანიშნავად ჩაბარა სამი გამოცდა. მხოლოდ უნარ-ჩვევებში 78 ქულა დაიმსახურა. მეოთხე გამოცდის წინ (და ეს იყო გამოცდა არჩეულ და საყვარელ საგანში - ისტორიაში), ღამით მამას ინფარქტი დაემართა და ბიჭმა მთელი ღამე მასთან გაატარა საავადმყოფოში, რის შედეგადაც დილას გამოცდაზე სამი წუთით დაიგვიანა. ის არ დაუშვეს. მისწერა წერილი ეროვნული გამოცდების მესვეურთ და ცნობებიც წარადგინა (სასწრაფოს გამოძახების, საავადმყოფოსი და ა.შ,). მაგარამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ოჯახს რაც კი სახსრები გააჩნდა, ვალით თუ უვალოდ, შვილის მომზადებას მოახმარა. ხელმეორედ ისინი ამას ვეღარ შესძლებდნენ. აი, ეს ყველაფერი მივწერე ბატონ ჯეჯელავას და დავძინე, თქვენი „არაორდინარულობის“ იმედი მაქვს-მეთქი. არაორდინარულმა მინისტრმა კი ეს წერილი ისევ ეროვნული გამოცდების ცენტრს გადაუგზავნა. იმათ მოგვწერეს, თავად აბიტურიენტმა შემოიტანოს განცხადებაო. არადა, ხომ შეტანილი ჰქონდა უკვე, უარი რომ მიიღო! და მეც იმიტომ მივმართე მინისტრს. აბიტურიენტმა კიდევ შეიტანა განცხადება. და კიდევ უარი მიიღო (!), ოღონდ პასუხი წარმოადგენდა უფრო ვრცელ, მაგრამ ყინულოვან დოკუმენტს, სავსეს იურიდიული მუხლებით, ქვემუხლებით და ა.შ. ისე, რომ თავი ამტკივდა მისი კითხვისას. ასე გაწირეს სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა და გადაუგდეს გაურკვეველ, უხალისო მომავალს. და რა უთხრა მას ამით არაპირდაპირ სახელმწიფომ? რა და ეს: „თუ წარმატება და წინსვლა გინდა, გენაცვალე, ცხოვრებაში, მომაკვდავი მამა უნდა მიატოვო და გამოცდაზე თავის დროზე მიხვიდე!“ ტაში და ვაშა!

ასეთი რობოტიზებულია ჩვენი ცხოვრება, და საგანმანათლებლო სივრცეც. განათლების სივრცე, სადაც თავშიც კი არ მოსდით, რომ კანონი ადამიანისთვის არსებობს და არა ადამიანი კანონისთვის. რომ შესაბამისი კანონის არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებელი პიროვნება თავად იღებს გადაწყვეტილებას ადამიანობის სასარგებლოდ, მართალი სამართლის სასარგებლოდ, რათა ადამიანობა არ ამოიძირკვოს ჩვენი ყოფიდან. მაგრამ განა ადამიანია თქვენი მიზანი?

ჰოდა: დადგა უკვე შობა-ახალი წელი, როდემდე უნდა იტანჯებოდნენ იმ კორპუსში ეს სტუდენტები, თქვე დალოცვილებო: ბატონო განათლების მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ბატონო პრემიერო, ბატონო პრეზიდენტო და საერთოდ, თქვენ ყველავ, ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი ქვეყნის მესაჭეებო, ამაზე უფრო მნიშვნელოვანს მაინც რას აკეთებთ, რომ სტუდენტების ყველაზე პროგრესულის ნაწილის სრულიად მოკრძალებულ და სამართლიან მოთხოვნას ყრუ კედლები აღუმართეთ წინ?

სწორედ იმიტომ ხომ არა, რომ გეშინიათ თვითგამორკვეული ახალგაზრდებისა, რომლებიც ადვილად სამართავები არ არიან; რომლებმაც იციან, რა არის ნამდვილი განათლება, რომლებმაც ბევრი იმუშავეს და კარგა ხანია, წარმოადგინეს მოსაზრებათა ერთობლიობა, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს განათლების რეფორმას, ყველა ხელისუფლებამ რომ მიაფუჩეჩა? ამ ეტაპზე კი ერთადერთ რამეს ითხოვენ: უმაღლესი განათლების კანონში გაუქმდეს 45-ე მუხლი, რომელიც განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებს ე.წ. სტუდენტურ თვითმმართველობას და ქმნის მისგან ფინანსების ერთპიროვნულად განმკარგავ საეჭვო ელიტას.

და მეც მომიწია პირადად მეხილა, ვინ არის ეს „ელიტა“: **ამა წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეფორმატორი სტუდენტების მშვიდობიან საპროტესტო აქციას ხელისუფლების გაურკვეველმა ძალებმა მიუსიეს ე.წ. თვითმმართველობის ნიღბოსანი დამრტყმელები, მცემელები, პროვოკატორები დაქირავებულ ხულიგნებთან ერთად. ისინი ურტყამდნენ, კედელზე აჭყლეტდნენ, აგინებდნენ სტუდენტებს, სასტვენებითა და შეურაცხმყოფელი შეძახილებით ახშობდნენ გამომსვლელებს, აიკლეს მთელი უნივერსიტეტი, რომლის დამფუძნებლებიც სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდნენ მათთვის წმინდა კედლებში ასეთ უგვანობას.**

და რატომ არ იქნა გამოძიებული ეს ამბავი, რატომ ჩაიფარცხა, ხელისუფალნო?

(სხვათა შორის, ამან 1989 წლის თებერვალი გამახსენა, როცა მშვიდობიანი აქცია ხელისუფლებამ პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსიდან გამოცვენილ დამრტყმელ კომკავშირლებს დაარბევინა).

და ბატონო მინისტრო, „დამნაშავეები“ თქვენთვის მაინც ესენი არიან, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ, გარდა იმისა, რომ არ უნდათ სიყალბესა და სიბრიყვეში ცხოვრება, მოჩვენებითი განათლებით თავის მოტყუება და საბჭოთადროინდელი უძრაობის ფუჭ დემოკრატიულ დეკორაციებში ჩაკარგვა? ჩვენი პოლიტიკურ-ფინანსური ელიტების შვილები დასავლეთის უნივერსიტეტებში რომ იღებენ განათლებას და ყველა სიკეთით ტკბებიან, ამ ბავშვებისათვის ჯოჯოხეთად ქცეულ თბილისშიც არ გემეტებათ ნორმალური სტუდენტური ცხოვრება?

რას გემართებათ? რა გაშინებთ? რატომ ვეღარ წარმოგიდგენიათ ცხოვრება „ნაციონალების“ მიერ შექმნილი „აგრესიულ-მორჩილი“ ნეოკომკავშირის — სტუდენტური თვითმმართველობების გარეშე?

ხომ ხედავთ, რომ ამ ეტაპზე ეს არა მხოლოდ სტუდენტურ, არამედ სამოქალაქო დაპირისპირებას იწვევს? რადგან ამ გაფიცული სტუდენტების უკან მშობლები, ახლობლები, თანამოაზრენი, პროფესორ-მასწავლებლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დგას!

და ამ თქვენი უძრაობით რატომ აყენებთ დარტყმას განათლების პროცესს? რატომ უბიძგებთ გაუთავებელი საპროტესტო აქციებისაკენ სტუდენტებს, რომლებსაც სწავლა-განათლება სწყურიათ? რატომ აყენებთ ზიანს მათ ჯანმრთელობას ამდენი ღამისთევით, შიმშილით, ნერვიულობით? რატომ ხართ ასეთი უგრძნობლები სხვისი შვილების მიმართ?

ათასობით ადამიანის სახელით მოგმართავთ: გამოიჩინეთ კეთილშობილება, გადადგით შემხვედრი ნაბიჯი: შობის დღესასწაულის ნათელში გააუქმეთ ეს დაწყევლილი 45-ე მუხლი და დააყენეთ საშველი ამ საქმეს! ყველა რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ეს გასაკეთებელია. მოწინავე სტუდენტებისთვის ხელების გადაგრეხა არც ღირსებას შეგძენთ და არც სიკეთეს მოგიტანთ.

ხელი გაუწოდეთ სტუდენტებს! ამით მაინც გაახარეთ საზოგადოება, რომელიც ისედაც ასე უიმედოდ, ასეთი შიშითა და დათრგუნულობით ელის მუქარის შემცველი სახით მომავალ ახალ წელიწადს.

გთხოვთ.

ნაირა გელაშვილი

23 დეკემბერი, 2016 წელი

რედაქციისგან: როგორც ტკბილმწარე კალმის მწერალ ნაირა გელაშვილს სჩვევია, ეს წერილიც მწარე წამლის პრინციპით არის დაწერილი. ამდენად აქ საწყენი არაფერია, მხოლოდ ხელისუფალთაგან სასწრაფოდ გასათვალისწინებლად არის გამიზნული. როგორც საკუთარ წამწამებს, ხშირად ასევე ვერ ვხედავთ თვალებზე ზედ მომდგარ პრობლემებს. ცნობილი მწერალი ამ შემთხვევაში თავისი მძაფრი, მაგრამ მართალი სიტყვის სარკეში ახედებს თავის ადრესატებს.

ძველი ახალი წმინდანები

ეს ადამიანები ნათლის სვეტები არიან, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს გზას გაუნათებენ

საქართველოს წმინდანთა დასს ახალი წმინდანები შეემატნენ. სულ ახლახანს წმინდა სინოდმა წმინდანებად შერაცხა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე, აფხაზთა და ქართველთა მეფის ტიტულის მქონე ბაბრატ მესამე; სწორუპოვარი სარდალი და ჭკვიანი პოლიტიკოსი, „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე“ სოლომონ პირველი, რომელსაც ჩვენმა ხალხმა „დიდი“ უწოდა, რადგან მთელი სიცოცხლე იბრძოდა ტყვეების სყიდვისა და თურქთა უღლის მოსაშორებლად.

სინოდმა წმინდანთა პატივით გამოარჩია, ასევე, **იღუმენია ნინო ამილახვარი** და **სძემიღუმენია თამარ მარჯანიშვილი,** ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის და. თამარ მარჯანიშვილმა, რევოლუციონერების მუქარის წერილებისა და გზაზე მის ეტლზე თავდასხმის მიუხედავად, არ დათმო სასულიერო ცხოვრება და ბოდბის მონასტერში ქართული წირვა-ლოცვის შენარჩუნებას ცდილობდა. ბოლშევიკებმა დედა თამარი გაიწვიეს მოსკოვში და 60 წლისა ბუტირკის ციხეში ჩასვეს.

საქართველოს სინოდის გადაწყვეტილებით, წმინდანად შეირაცხა, ასევე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **კალისტრატე ცინცაძე,** რომელმაც უმძიმეს წლებში იტვირთა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელობა. იგი ყველანაირად ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, რაც რუსიფიკატორულ პერიოდში ანტირუსულ განწყობად, „რასკოლნიკობად“ აღიქმებოდა. ერთი-მეორის მიყოლებით იცვლებოდნენ საქართველოში მოვლენილი რუსი ეგზარქოსები, რომლებიც ქართველი ერის სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი. ერთ-ერთი მათგანი ეგზარქოსი ნიკონი საქართველოს ავტოკეფალური მისწრაფების წინააღმდეგ იყო განწყობილი. უწმინდესი კალისტრატე ასე იხსენებდა ეგზარქოს ნიკონთან შეხვედრას, როცა მას დაუფარავად უთხრა: **„რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასდროს მოხდება. ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა შეიძლება გარუსდეს? ხოლო, თუ გვირევიან ისეთნი, რომელნიც გარუსებულად გვაჩვენებენ თავს, ისინი ნაძირალები არიან, როგორებიც არც თქვენ გჭირდებათ და არც მით უმეტეს - ჩვენ“.**

ნიკონი მოჩვენებითი კეთილგანწყობით უსმენდა კალისტრატე ცინცაძეს, საიდუმლო წერილში კი ურჩევდა რუსეთის ხელისუფლებას, სახელმწიფო ხაზინიდან დაფინანსება აღეკვეთა ქართული სემინარიისთვის, რადგან იქ ქართულ ენაზე ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას. ქართველებთან „მოსარიდებელი არაფერი გვაქვს, ვინაიდან ისე ვძულვართ რუსები, როგორც ძაღლები“, — წერდა ეგზარქოსი ნიკონი, რომელიც მოგვიანებით მოკლეს, მკვლელობაში ბრალი კი ქართველ ავტოკეფალისტებს დასდეს. ამის შემდეგ ეპისკოპოს კირი-

ბაგრატ მესამე

სოლომონ პირველი


კათოლიკოს-პატრიარქი
კალისტრატე ცინცაძე

„რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასდროს მოხდება. ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა შეიძლება გარუსდეს? ხოლო, თუ გვირევიან ისეთნი, რომელნიც გარუსებულად გვაჩვენებენ თავს, ისინი ნაძირალები არიან, როგორებიც არც თქვენ გჭირდებათ და არც მით უმეტეს - ჩვენ“.

კალისტრატე ცინცაძე

ონისა და არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას განსაკუთრებული დევნა დაიწყო. რუსი ეგზარქოსებისთვის მიუღებელი იყო კალისტრატე ცინცაძეც.

საეკლესიო სიწმინდეთა დატაცება, სასულიერო პირთა დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩეკამ იმჟამინდელ პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან ერთად დეკანოზი კალისტრატე ცინცაძეც დააპატიმრა. მაშინდელი ბოლშევიკური პრესა სიამაყით წერდა, რომ ხიშტებით მიჰყავდათ სასულიერო პირები. მათ სამშობლოს მოღალატეებს ეძახდნენ. მეტეხის ციხეში დეკანოზი კალისტრატე გამომძიებელმა დაიბარა და შესთავაზა განცხადების დაწერა, თითქოს საკათალიკოსო საბჭოში მრავალნაირი ბოროტმოქმედება ხდებოდა და ამის გამო თავს ანებებდა საბჭოს წევრობას. დეკანოზ კალისტრატეს ამ წერილის სანაცვლოდ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ მან გამომძიებელს მიუგო: „თავისუფლება შეიძლება კაცმა მოიპოვოს თავისთავის დაბეზღებით?“ — გამომძიებელმა უპასუხა, მაშინ იჯექი მეტეხშიო. თუმცა ბოლშევიკებმა ამბროსი ხელაია და კალისტრატე ცინცაძე გაათავისუფლეს.

კალისტრატე ცინცაძეს ყველაზე რთულ პერიოდში მოუწია საქართველოს პატრიარქობა. ეკლესიების რიცხვი დღითი დღე მცირდებოდა, სასულიერო პირებს სიკვდილით სჯიდნენ, ხშირად ნაწამებ და ყელგამოჭრილ მოძღვრებს თავიანთ ეკლესიებთან პოულობდნენ. ამის გამო ბევრმა სასულიერო პირმა მღვდლის ანაფორა გაიხადა. თუმცა დარჩნენ იშვიათი სასულიერო პირები, რომლებიც შეგნებულად დაადგნენ მოწამეობრივ გზას.

შესაძლოა, ზოგიერთებში კითხვას აჩენდეს, რატომ წერდა თბილ წერილს კალისტრატე ცინცაძე იოსებ სტალინს, რატომ ულოცავდა საბჭოთა მთავრობას „დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეს“, რომლის დროსაც ამდენი სასულიერო პირი გაანადგურეს, უამრავი ეკლესია დახურეს, მაგრამ ასეთ კომპრომისზე წასვლას მაშინდელი რთული დროება ითხოვდა.

როგორც ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე აღნიშნავს, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე თბილისის სასულიერო სემინარიიდან იცნობდა სტალინს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საბჭოთა ხელისუფლებისთვის, მარწუხებში მოექცია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. უწმინდესმა უშუალოდ სტალინთან კონტაქტზე გასვლა სცადა და 60 წლისთავთან დაკავშირებით წერილი მისწერა:

„თქვენ სიჭაბუკითგანვე არ სცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ცრემლითა მოსასპობად. ამისათვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით“. თუმცა ამ წერილის მიუხედავად, დღის წესრიგში დადგა სვეტიცხოვლისა და სიონის დახურვის საკითხი. ფაშიზმის თავდასხმის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობამ რადიკალურად შეცვალა ეკლესიასთან დამოკიდებულება. ამ ვითარებით ისარგებლა კალისტრატე ცინცაძემ და გაუქმებული ეკლესიების აღდგენა, რეპრესირებული სასულიერო პირების დაბრუნება ითხოვა. თუმცა ციმბირიდან ვერ დაბრუნდნენ და გადასახლებაში გარდაიცვალნენ სასულიერო პირები გიორგი მაჭავარიანი, ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, არსენ ჯანელიძე, ნესტორ ჯალაღონია და სხვები.

ექსპერტი ვაჟა ბერიძე აცხადებს, რომ ამ ადამიანების წმინდანად შერაცხვის საფუძველი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს. განსხვავებული ცხოვრებისეული გზა გაიარა თითოეულმა მათგანმა, მაგრამ ისინი იქნებიან ის ნათლის სვეტი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გზას გაუნათებს.

ვაჟა ბერიძის თქმით, განსაკუთებით არაჩვეულებრივია კალისტრატე ცინცაძის ფიგურა, რომელიც მოწამეობრივი და გრანდიოზული მნიშვნელობის პერსონაა.

„ეს ადამიანები საკმაოდ მძიმე ეპოქაში ცხოვრობდნენ და უამრავი პრობლემის გადალახვა უწევდათ, რათა შეენარჩუნებინათ სარწმუნოება. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებ ერთ ფაქტს. ირანელებმა ვახტანგ მეექვსე მიიწვიეს, რათა ჯანიშინობიდან ქართლის მეფედ რეალურად დაენიშნათ და მას სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვეს, რაზეც ვახტანგ მეექვსემ უარი განაცხადა. ამ დროს ქართულმა ეკლესიამ მოუწოდა მეფეს, შეეცვალა სარწმუნოება, რადგან ეს ქვეყანას სჭირდებოდა და ვახტანგ მეექვსე უზარმაზარი აღმშენებლობითა და სულიერების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს გააგრძელებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის მოღვაწეობა მარცხით დამთავრდა და იგი იძულებული გახდა, რუსეთში გადასულიყო 1200 თავად-აზნაურთან ერთად, მის ღვაწლს მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ კალისტრატე ცინცაძის მხრიდან გამოჩენილ კომპრომისსაც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. უნდა გავითვალისწინოთ, როგორი იყო ბოლშევიკური ხელისუფლების დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი. ამიტომ კარგია, რომ ჩვენმა სინოდმა ასე დააფასა კალისტრატე ცინცაძის ღვაწლი“, — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

მანვე განმარტა, რომ ძალიან გაუხარდა, როცა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბაგრატ მესამე წმინდანად აღიარა. უამრავი ცნობილი ქართული ისტორიული ძეგლი აიგო ბაგრატ მეფის დროს, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესია მის მიმართ ყოველთვის გაუგებარ სიმკაცრეს იჩენდა ადამიანურად მის მიერ ჩადენილი ცოდვების გამო. საუბარია საკუთარი ნათესავების, კლარჯეთის მფლობელების მიწვევაზე, მათ დაპატიმრება-დატუსაღებასა და ფაქტობრივ მოკვდინებაზე.

„ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ბაგრატ მესამე წმინდანად აღიარებული არ იყო. ეს ადამიანები უკლებლივ უდიდესი პიროვნებები არიან და ჩვენ, ცოდვილებს და უბრალო მოქალაქეებს, რომლებსაც პატივი გვაქვს დამოუკიდებელ საქართველოში ვიცხოვროთ, დაგვეხმარებიან ცხოვრების სიძნელეებთან გამკლავებაში“.

მანანა ნოზაძე

სძემიღუმენია
თამარ მარჯანიშვილი

იღუმენია
ნინო ამილახვარი

თუ ხელისუფლების წყაროა ხალხი, ხელისუფლებას როდემდე უნდა ვაჩვენოთ კონსტიტუცია?!

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია სამართლის დოქტორი ბიძინა სავანელი

— თქვენ, როგორც კონსტიტუციონალისტმა, რა შეგიძლიათ გვიპასუხოთ კითხვაზე: რა საჭიროებამ განაპირობა საქართველოს კონსტიტუციის გადახედვა და ამ მიზნით საკონსტიტუციო კომისიის შექმნა?

— თუმცა მე არ გახლავართ კონსტიტუციონალისტი, ამ ტერმინის ვიწრო გაგებით, მაგრამ ვარ კონსტიტუციონალისტი ადამიანის უფლებების განხრით, და ამ რანგში ვიყავი მიწვეული 1995 წლის კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელ საკონსტიტუციო კომისიაში. მე გახლავართ კონსტიტუციონალისტი ამ ტერმინის ფართო გაგებით, რადგან კაცობრიობამ კონსტიტუცია იმიტომ „გამოიგონა“, რომ ადამიანს თავისი ბუნებრივი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაეცვა.

მე ვარ ავტორი საქართველოს ამჟამინდელი კონსტიტუციის მეშვიდე მუხლისა, რომლის ძალით: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“ მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს მუხლი ღირებულია. ამ დროს კი, 2006 წლიდან დღემდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის მუხლი 7-ის მოქმედება, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაბლოკილი აქვს.

ახლა კონკრეტულად გიპასუხებთ კითხვაზე, თუ რა საჭიროებამ განაპირობა საქართველოს კონსტიტუციის გადახედვა.

საქართველოს წინა ხელისუფლებამ 2004 წლის 6 თებერვლიდან დაიწყო კონსტიტუციის უპრეცედენტო „ჭრა-კერვა“, ანუ თავის „ტანზე მორგება“, და მასში 30-ზე მეტი ცვლილება შეიტანა. ხაზს ვუსვამ, ცვლილებები და არა დამატებები შეიტანა (ცვლილებასა და დამატებას შორის არსებითი სხვაობაა). და ეს მაშინ, როდესაც დღიდან მისი მიღებისა, 250 წლის განმავლობაში აშშ-ის კონსტიტუციაში არც ერთი ცვლილება არ შესულა. მასში მხოლოდ 27 დამატება შევიდა, და ისიც ძირითადში ადამიანის უფლებების დაცვის გაფართოების მიმართულებით. თანაც დამატებანი კონსტიტუციის ძირითად ტექსტში არ შესულა, არამედ კონსტიტუციას დაერთო. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით მოხდა.

ამიტომ საკონსტიტუციო კომისიამ სამუშაო დოკუმენტად 2004 წლის 6 თებერვლამდე არსებული კონსტიტუცია უნდა გაიხადოს. თუმცა, ამ იდეას აუცილებლად შეეწინააღმდეგება ახლახან დამტკიცებული საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთი წამყვანი წევრი, რადგან ის იყო სააკაშვილის მიერ კონსტიტუციის დასახიჩრების „ჩრდილოვანი“ აღმსრულებელი და თანაც გაურკვეველი ეროვნული წარმომავლობის პირი. სანდო წყარობიდან ჩემთვის ცნობილი გახდა ის, რომ სწორედ ეს პირი იყო საკონსტიტუციო კომისიაში ჩემი ჩართვის წინააღმდეგი.

— თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა შერჩეულიყვნენ საკონსტიტუციო კომისიის წევრები?

— სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ახალი დებულების თანახმად, „კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილი უნდა იქნენ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები, ყველა კონსტიტუციური ორგანოს წარმომადგენელი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია, სასამართლოს ხელმძღვანელი და ა.შ. კომისიაში ასევე(?) წარმოდგენილი იქნებიან ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები.“

პირველ ყოვლისა, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩართულობა საკონსტიტუციო კომისიაში ჩემთვის საერთოდ მიუღებელია, რის არგუმენტადაც მე მოვიშველიებდი ჰანს კელზენის აზრს იმის შესახებ, რომ „პოლიტიკა აბინძურებს სამართალს“ (ევროკავშირის რჩეულმა მეცნიერ-იურისტებმა 1998 წელს გამართულ საიუბილეო კონფერენციაზე ჰანს კელზენი სამართლის მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გიგანტად ცნეს).

ჩემს პოზიციას მოკლედ დავაკონკრეტებ.

თუ კი ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ სუბიექტთა ფუნქციონირება დაექვემდებარება პოლიტიკას და არა კანონმდებლობას, მით უმეტეს კონსტიტუციას, მივიღებთ ანარქიას, რისი მოწმე ქართველი ერი წლების განმავლობაში მრავალგზის ყოფილა.

კონსტიტუციის მოქმედება გათვლილი უნდა იყოს არა 4, 8 ან თუნდაც 16 წელზე, არამედ ათეულ წელზე, თუნდაც საუკუნეზე, როგორც ეს აშშ-ის მაგალითზე გვაქვს. 250 წლის განმავლობაში აშშ-ში ერთმანეთს პარტიები მრავალჯერ ჩაენაცვლნენ, მაგრამ ამას კონსტიტუციაზე ზეგავლენა სრულიადაც არ მოუხდენია. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ აშშ-ის კონსტიტუციის სტაბილობაში მმართველი პარტია ხედავდა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური სტაბილობის გარანტიას. ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმა ხდებოდა.

ჩემი აზრით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა წარმომადგენელთა ასეთი სიმრავლე საკონსტიტუციო კომისიაში სრულიად მიუღებელია, ბევრ შემთხვევაში კონსტიტუციის უცოდინრობის გამოც.

— საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ხელისუფლებიდან, ვალდებულია თუ არა იცოდეს კონსტიტუციის არსი?

— მე ჩამოვაყალიბებ კონსტიტუციის აღიარებულ განსაზღვრებას და დარწმუნდებით, რომ ბევრი მათგანისათვის ეს სიახლე იქნება (ამ თვალსაზრისით, მე ნაწილობრივ საგანმანათლებლო ფუნქციასაც ვიტვირთავ).

რა არის კონსტიტუცია?

კონსტიტუცია არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც მართავს სახელმწიფოს, ანუ ადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა საქმიანობის სამართლებრივ საზღვრებს. ლაკონიურად: კონსტიტუცია არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც მართლებრივად ბოჭავს სახელმწიფოს, ანუ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

კონსტიტუცია არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც მართავს სახელმწიფოს, ანუ ადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა საქმიანობის სამართლებრივ საზღვრებს. ლაკონიურად: კონსტიტუცია არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც სამართლებრივად ბოჭავს სახელმწიფოს, ანუ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

რა საფუძველს ემყარება ხელისუფლების ასე ვთქვათ „უუფლებობა“? ხელისუფლების „უუფლებობა“ ემყარება გენერალურ შრომით ხელშეკრულებას, რომლის ძალით ხალხი თავისი ბუნებრივი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების დასაცავად ქირაობს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას და უხდის მას ხელფასს ბეგარის ფორმით. ბეგარა რომ ხელისუფლების არსებობის ფინანსური წყაროა — ეს იურიდიული ანბანია.

თუ კი ხალხის მიერ დაფინანსებული ხელისუფლება თავის მოვალეობას არ ასრულებს, მაშინ ამავე მუხლის ძალით ხალხს უფლება აქვს ხელისუფლების გადაყენება მოითხოვოს რეფერენდუმის და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეოხებით. უფრო მეტი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის თანახმად, ხელისუფლება უნდა ეცადოს, რათა ხალხმა თავის გადასარჩენად უკიდურეს ზომებს არ მიმართოს და დაამხოს ხელისუფლება. ამიტომ ხელისუფლება ვალდებულია იმოქმედოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

არადა, საქართველოს პარლამენტისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან არსებობს სოლიდური კვლევითი სტრუქტურა, რომელსაც „მოაზროვნე ტანკსაც“ კი უწოდებენ. ამ სტრუქტურაში 600 თანამშრომელი მუშაობს, რომლებიც კონფიდენციალურ და უპარტიო საფუძველზე უშუალოდ კონგრესის წევრებსა და კომიტეტებს უწევენ სამეცნიერო და პრაქტიკულ კონსულტაციას. პერსონალში ძირითადად არიან მკვლევარი იურისტები, ეკონომისტები, სოციოლოგები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგის სპეციალისტები. ნიშანდობლივია, რომ 2016 წელს კვლევით სამსახურს ბიუჯეტიდან დაახლოებით 106.9 მლნ. დოლარი გამოეყო.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დებულება საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტების შესახებ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლს, რომლის თანახმად: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“. თუ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, მაშინ საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი უნდა იქნას ხალხი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სახით.

მეორე მხრივ, თუ სახელმწიფოს თანამდებობის პირები კომისიაში მაინც ჩართეს, სად ექნებათ მათ დრო ქვეყნისათვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შემუშავებაში რეალური მონაწილეობა მიიღონ?! კაბინეტებში? კაბინეტებში ისინი ვალდებულია არიან თავიანთი ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულონ.

— თქვენი აზრით, ექსპერტებად ვინ უნდა ყოფილიყვნენ წარდგენილი?

— ექსპერტებად წარდგენილ პირთა უმრავლესობა მისაღებია, მაგრამ მათი სიმცირე სრულიად მიუღებელია.

უფრო მეტი, ჩემი ღრმა რწმენით, ექსპერტებად წარდგენილი უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე მიუკერძოებელი ანდა მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-იურისტები.

მაგრამ სავალალო ისაა, რომ დღეს საქართველო მიუკერძოებელი და კვალიფიციური მეცნიერ-იურისტების დეფიციტს განიცდის.

აბა მოკლედ გავაანალიზოთ ბოლო 10 წელია, რა ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში? კრიმინალი ხუბუა უნივერსიტეტში დააბრუნეს, მაშინ როდესაც ხუბუას სანქციით უნივერსიტეტის შენობაში პოლიციის მიერ დარბეული და უნივერსიტეტიდან გაყრილი მკვლევარები, რომელნიც სამი წლის წინათ აკადემიკოსმა ლადო პაპავამ უნივერსიტეტში დააბრუნა, ახლახან ისევ დაითხოვეს. და ეს მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა განაცხადა, რომ ის თსუ-ს კვლევით უნივერსიტეტად გადააქცევს. ისმის კითხვა: ახალი რექტორი როგორ გადააქცევს თსუ-ს კვლევით უნივერსიტეტად მკვლევარების გარეშე?!

— დაუზუსტებელი ინფორმაციით, თქვენი რამდენიმე ბოლო ნაშრომი დასავლეთში პოპულარული გახდა. რომელ ნაშრომებზეა საუბარი?

— 2014 წელს გერმანიაში ორ ტომად გამოიცა ნაშრომი სათაურით: „გლობალური წესრიგი თუ გლობალური უწესრიგობა“, ხოლო წელს ნაშრომი სათაურით: „ბუნების სინერგიისა და ჰომეოსტაზისის შემოქმედებითი გარდასახვა კაცობრიობის მშვიდობიან განვითარებაში.“ ნაშრომის ძირითადი თემებია: სამყაროს სპირალური მოძრაობა; სივრცისა და ენერგიის მუდმივობა; დროის დროებითობა და ნივთიერების გარდამავლობა; ნორმატიული სისტემების მათემატიკური განზომილება; ადამიანი, გენეტიკა და ბიოეთიკა; „მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზეცთ მწყობრთა წყობისა“; არსის და ჯერარსის სინერგია და ურთიერთგარდასახვის დიალექტიკა; ადამიანის ძირითადი უფლებები როგორც კანონის უზენაესობის და სამართლიანობის ამოსავალი კრიტერიუმი; გარემოს დაცვის 5 გზა. მოკლედ ნაშრომი არის ტრანს-დისციპლინარული კვლევა ფიზიკის, მათემატიკის, გენეტიკის, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის და ეკოლოგიის, გასაგებად რომ ვთქვათ, შემხვედრ სივრცეში.

ესაუბრა
როსტომ მაღლაკელიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

აკადემიის ახალი სტიპენდიატები

2016 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია აკადემიის სტიპენდიატები შემდეგ სპეციალობებში:

სტიპენდიატის გვარი, სახელი	სპეციალობა
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
დარჩია ნატო	ფიზიოლოგია
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
ინაშვილი ირმა	აგროინჟინერია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
კუდავა ბუბა	ისტორია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
მესხი ალექსანდრე	მათემატიკა
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
ომიაძე სალომე	ენა
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
სხირტლაძე ალექსანდრე	ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
ტიელიძე ლევან	გეოგრაფია
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
ფარცხალაძე გაიოზ	გამოყენებითი მექანიკა – კატასტროფების რისკი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
ფიფია ია	ბიოლოგია

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ირაკლი ჟორდანია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი

„აგროჰაბის“ პირველი ჰიპერმარკეტი თბილისში

საქართველოში პირველი „აგროჰაბის“ ჰიპერმარკეტი გაიხსნა, რომლის ინვესტიციაც 15 მილიონ ლარს შეადგენს. საზეიმო გახსნას თბილისის მერი დავით ნარმანია სოფლის მეურნეობის მინისტრთან ლევან დავითაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან ერთად დაესწრო და „აგროჰაბის“ მფლობელებს ახალი ჰიპერმარკეტის გახსნა მიულოცა.

„ეს არის ჩვენი ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი. აქ განხორციელდა 15 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია და დასაქმდა 200-ზე მეტი ადამიანი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. ისევე როგორც, ქალაქში შეიქმნა ცენტრი, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ, ერთ სივრცეში შეიძინონ ხარისხიანი და უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. პროდუქტის ძირითადი ნაწილი ადგილობრივი წარმოებისაა, ძალიან კარგი კონცეფციაა და ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი ქალაქისთვის,“ – განაცხადა თბილისის მერმა.

კომპანიას აქვს ISO 22000-ით სერტიფიცირებული რძის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც ხდება 100%-ით ნატურალური რძის პროდუქტის წარმოება. გარდა ამისა, ჰიპერმარკეტში წარმოდგენილია საკონდიტრო საცხობის, პურფუნთუშეულის, ცივი და ცხელი სამზარეულოს, სალათების და ზღვის პროდუქტების მრავალფეროვანი ასორტიმენტი.

კომპანია „აგროჰაბს“ აქვს საკუთარი ფრინველის, საქონლის და ღორის ფერმა. სწორედ, ზემოთხსენებული ფერმებიდან მოხდება ყოველდღიურად ახალი, ჯანსაღი ხორცის მომარაგება „აგროჰაბში“. ჰიპერმარკეტის მარანში კი მომხმარებელს საშუალება ექნება, შეიძინოს 11 დასახელების, ცოცხალი ღვინო. ღვინის ასორტიმენტში იქნება ისეთი სახეობები როგორიც არის უსახელაური, ოჯალეში, ხვანჭკარა, საფერავი და სხვა.

პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად კომპანიას გააჩნია ევროპული დანადგარებით აღჭურვილი სამი სახის ლაბორატორია. ამასთან ერთად, „აგროჰაბში“ სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი პროდუქტიც გაიყიდება, მაგალითად, როგორიცაა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნატურალური ლორი, შაშხი, თაფლი და სხვა.

კომპანია 2017 წელს თბილისსა და რეგიონებში რამდენიმე მაღაზიის დამატებას გეგმავს.

◎ დედაქალაქი

აღმაშენებლის პროსპექტიდან დედაენის ბაღამდე – საახალწლო ზეიმის ზონა

შობა-ახალი წლის სადღესასწაულო განწყობა თბილისში დღითი დღე სულ უფრო ძალუმად იგრძნობა. 25 დეკემბერს დედაენის ბაღში საახალწლო ქალაქი საზეიმოდ გაიხსნა, მის მშვენებად კი ჩვენი სასიქადულო დირიჟორის ვახტანგ კახიძის კონცერტი „საშობაო ზღაპარი“ იქცა.

დედაენის ბაღში საახალწლო ქალაქი სტილიზებული ქოხებით ჯიხურებს წარმოადგენს, სადაც აუარება სადღესასწაულო საჩუქრის, ნუგბარის შეძენაა შესაძლებელი. ლამაზად მორთული ნაძვის ხის გვერდით ასევე იყიდება ქართული ფიჭვის ეგრეთ წოდებული „სიცოცხლის ნერგები“, რომლებიც უამრავმა თბილისელმა დიდი ხალისით უკვე შეიძინა. პატარებსა და მათ მშობლებს სადღესასწაულო განწყობას უქმნიან მოძრავი თეატრის მსახიობები, ჩვენი ცნობილი მომღერლების მიერ შესრულებული საშობაო და საახალწლო სიმღერები.

საახალწლო ქალაქის გახსნას დედაენის ბაღში თბილისის მერი დავით ნარმანია თავისი ოჯახით დაესწრო.

მეტად სასიხარულოა ის გარემოებაც, რომ სადღესასწაულო ღონისძიებები მოეწყო ასევე დავით აღმაშენებლის საფეხმავლო ზონად გადაქცეულ ზაარბრიუკენის მოედნის მიმდებარე ნაწილში. აქ მატარებლის ტიპის ვაგონი-ჯიხურებია მოწყობილი, სადაც საახალწლო სუვენირები, ტკბილეული იყიდება. სადღესასწაულო სანახაობები 3 იანვრამდე გაგრძელდება, რა დროსაც სხვადასხვა კულტურული, სპორტული და საბავშვო ღონისძიება გაიმართება.

საახალწლო გალა-კონცერტი კი ტრადიციისამებრ 31 დეკემბერს, ვარდების (ყოფილი რესპუბლიკის) მოედანზე გაიმართება.

საახალწლო ყინულის ზღაპარი

აგერ უკვე მერამდენე ყოველწლიურ წინასაახალწლო ზეიმს უმასპინძლა მარინა ცერცვაძის სახელობის თბილისის ყინულის დარბაზმა 26 დეკემბერს.

ნაშუადღევს აქ უამრავი სხვადასხვა ასაკის ბავშვი მივიდა თავიანთ მშობლებთან, ბებია-ბაბუებთან, უფროს და უმცროს და-ძმებთან ერთად. პატარა ხელოვანებმა ყინულის არენაზე ნაირ-ნაირი საკონცერტო ნომერი წარუდგინეს თავიანთ ახლობლებსა და თანატოლებს. თბილისის ყინულის დარბაზში საზეიმო სანახაობა დედაქალაქის მერიის საახალწლო პროგრამის ფარგლებში გაიმართა.

– მსგავს ღონისძიებებს ყოველ შობა-ახალ წელს ვანწყობთ ხოლმე, – გვითხრა ყინულის ცენტრის დირექტორმა **ირაკლი ჯაფარიძემ**. – თუმცა ისიც მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი სანახაობა ყინულზე წინა წლების სადღესასწაულო წარმოდგენისგან მეტი მასშტაბურობით გამოირჩევა და მასში, ფაქტობრივად, ყველა ასაკობრივი ჯგუფის პატარა მოციგურავემ მიიღო მონაწილეობა. სახალისო წარმოდგენა გამოგვივიდა, დიდად გაიხარეს პატარა მონაწილეებმაც და მათ მშობლებმაც, რისთვისაც მათი სახელით მადლიერების სიტყვები მინდა გამოვთქვა დედაქალაქის მერიის მისამართით, რომლის მხარში ამოდგომით ასეთი დიდებული ზეიმის მოწყობა გახდა შესაძლებელი.



ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტოები.

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	სკავდასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	3543	53.08.42.270	1400	420	70	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2016 წლის 27 დეკემბრიდან 2017 წლის 25 იანვრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 25 იანვარს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23-21-90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

„მაესტროს" ლოგო „უცნობს" დარჩა

„მაესტროს" საქმე – საქალაქო სასამართლომ გია გაჩეჩილაძის – „უცნობის" სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. საუბარია ლოგოს გამოყენების უფლების ირგვლივ დავაზე. ამ უფლების დაბრუნებას ბაჩო კიკაბიძე მოითხოვდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიის „ლოგო" გაჩეჩილაძეს მიაკუთვნა.

ტელეკომპანიის დამფუძნებლის ბაჩო კიკაბიძის განცხადებით, სასამართლომ ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის დაკვეთა შეასრულა. მისივე თქმით, ივანიშვილმა სასამართლოს მეშვეობით მას ინტელექტუალური საკუთრება წაართვა.

მალე მედია სრულად გადავა „ქართული ოცნების" ხელში - მამუკა ღლონტი

„მაესტროს" ლოგოსთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს „მაესტროს" დამფუძნებელი მამუკა ღლონტი. მისი თქმით, მან პროცესების დაწყებამდე განაცხადა, რომ საქართველოში ყველა საქმეს წაადგებდნენ, თუმცა დიდი ალბათობით, ევროპულ სასამართლოებში აღნიშნულ პროცესებს თითქმის ყველას მოიგებენ. „ის, რასაც ესენი სასამართლოს ეძახიან, ნამდვილად არ არის სასამართლო. მიმდინარეობს მედიის კონკრეტული პარტიული ინტერესების ქვეშ მოქცევა, ამას აკეთებს „ქართული ოცნება". ძალიან მალე მოხდება ძალიან საინტერესო ამბები, კერძოდ, მედია სრულად გადავა „ქართული ოცნების" ხელში. ამათი მოქმედების ვადები ასეთია, ახალი წელი ან აგვისტო, როცა საზოგადოების ყურადღება მოდუნებულია, თუმცა ადრე თუ გვიან, სამართლიანობა აუცილებლად აღდგება", – განაცხადა მამუკა ღლონტმა.

ლადო ბედუკაძე ტელეწამყვანი ხდება

ვლადიმერ ბედუკაძე საავტორო პოლიტიკური გადაცემას მოამზადებს. ბედუკაძის გადაცემა „თბილისი 24"-ის ეთერში გავა, რომელსაც მაუწყებლობის ლიცენზია კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ გუშინ მისცა.

„ვაპირებ პოლიტიკური გადაცემის მომზადებას, ეს იქნება 5-წუთიანი გადაცემა ერთ-ერთი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის პროექტის მსგავსი" – განუცხადა „რუსთავი-2"-ს ბედუკაძემ. ჟურნალისტის კითხვაზე, იქნება თუ არა ბედუკაძის პროექტი რუსი ჟურნალისტის მიხეილ ლეონტევის ტელეპროექტის „ოდნაკო"-ს მსგავსი, ბედუკაძემ უპასუხა: „შეიძლება, მაგრამ თქვენ ასე უცებ როგორ გამოიცანით"...

შპს ენგურჰესის **განცხადება,** თაღოვანი კაშხლის საყალიბე საამქროს იჯარით გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო), შპს „ენგურჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს 2016 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმი №9 გადაწყვეტილების საფუძველზე და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 16 დეკემბრის №02/4977 წერილის შესაბამისად, თაღოვანი კაშხლის საყალიბე საამქროს იჯარით გაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს შემდეგი პირობებითა და მონაცემებით:

– შენობის საერთო ფართი 792 კვ.მ.
– მ.შ. დახურული ფართი 445 კვ.მ.
– დახურული ღია ფართი 347 კვ.მ.
– საიჯარო თანხა თვეში 1 კვ.მ. დახურულ ფართზე 1,0 ლარი (სულ 445 ლ.)
– საიჯარო თანხა თვეში 1 კვ.მ. ღია ფართზე 0,7 ლარი (სულ 243 ლ.)
– შენობა ერთსართულიანია
– ჭერის სიმაღლე 5,8 მეტრი
– მიმდებარე ტერიტორიის ფართი 4455 კვ. მ.
– შენობის ფიზიკური მდგომარეობა – დამაკმაყოფილებელი
– მისამართი – წალენჯიხის რაიონი სოფ. ფოცხო-ეწერი
– სავაჭრო ბიჯი 1 კვ.მ-ზე – 5 თეთრი
– იჯარის ხანგრძლივობა – სამი წელი (შემდგომში ვადის გაგრძელების უფლებით)
– „ბე" – პირველი შენატანი, განისაზღვრა წლიური საიჯარი თანხის 10 % ანუ 825 ლ.

– ფართობის გაიჯარება ხდება საწყისი სააუქციონო ფასით დღგ-ს გარეშე.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის საიჯარო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი", სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშგების ანგარიში GE59PC0173600100015015, ს/კოდი 251716371.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის" ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2016 წლის 24 დეკემბრის 10 სთ-დან 2016 წლის 30 დეკემბრის 14 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2016 წლის 30 დეკემბერს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო საიჯარო თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მეიჯარეს არ მიეცემა საკუთრების დროებითი უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი);

– „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს საიჯარო ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა. ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 595 227050 , 595 339010.

შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია

Procurement Notice for Procurement of Repair Services for Akhaltsikhe 63 MVA 400/11/10.5 Transformer for "Energotrans" Ltd.

"Energotrans" Ltd announces Bidding for Procuremnet of Repair Services for Akhaltsikhe 63 MVA 400/11/10.5 Transformer.

The Bidding procedure will be conducted in accordance with the "Rule of Procuring goods, services and works by "Energotrans" Ltd.

The repair services consider implementation of on-site repair services of the damaged T2 transformer of 63 MVA 400/11/10.5 kV installed in Akhaltsikhe Sub-station. Testing Protocol for damaged transformer T2 is attached to the Tender Document.

Based on the Testing Protocol U1 winding is damaged in both T2 and T3 transformers. Damaged U1 winding of T2 transformer should be replaced by 1V or 1W (nonfailed) winding which should be taken from T3 transformer. U1 windings removed from both transformers should be properly packed form transportation for the purpose of further repair.

N	Type of Service	Measurement Unit	Q-ty
1	Arrangement of Workshop	Lot	1
2	Repair Services	Lot	1
3	Supervision	Lot	1
4	Testing and Measurement	Lot	1

The Contactor shall provide the Purchaser with warranty for the repaired transformer. The warranty period shall be at least 12 months from the date of final Handing–over (Acceptance) Act.

The Bidders are allowed to propose delivery period of repair service from 1 months up to 2 months period. Delivery Term will be used as an evaluation criteria with the priority ratio of 0.3. Bidders offering service delivery within 1 month period will be awarded the maxim grade of 10.

The Price for above mentioned repair services shall be submitted considering all associated costs. The prices should comprise all taxes envisaged under Georgian Legislation.

The payment for the actually provided services (as per the Table of prices) will be made in GEL by bank transfer within 20 working days from the date of signing the Final Acceptance Certificate for completion of repair services and submission of relevant invoice.

Required experience of the Bidder: the Bidder should have at least five (5) years of experience of manufacturing 400 (500) kV transformers. Document proving Bidder's experience as a manufacturer shall be submitted (documents such as: list of produced transformers, etc.).

Price reduction step during Oral trading (reverse Auction) (later "step") is GEL 15,500.00 (fifteen thousand five hundred). Increase of Bid price is not allowed during the Oral Trading (Reverse Auction). The place for conducting the Oral Trading (Reverse Auction) is: 2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia. Office of the Purchaser.

The Bidders shall furnish with their Bid a Bid Security - **Bank Guarantee -** with the validity period of at least by **30 calendar days more** than the validity of the Bid submitted by Bidder. The amount of Bid Security shall be **GEL 46,500.00 (forty six thousand five hundred).**

The Bidder who will be awarded the contract shall furnish a performance security – Bank Guarantee – in the amount of **GEL 155,000.00 (one hundred fifty five thousand).**

For obtaining Tender Document the interested Legal Entities shall pay non-refundable fee in the amount of GEL 50 (fifty) on the following bank account of "Energotrans" Ltd:

"TBC Bank" JSC
Code: TBCBGE22
Bank Account: GE37TB7731436030100001
Beneficiary: "Energotrans" Ltd
Purpose: Bidding Document fee for the Bidding: T02 S - 01/2016

Upon submission of document proving the payment of abovementioned non-refundable fee the Bidding Document shall be obtained in the office of "Energotrans" Ltd on the address indicated below from the date of Procurement Notice Publication until January 27, 2017, 18:00.

Address of the Purchaser:
Office of "Energotrans" Ltd
2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +(99532)2510391
E-mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge

Bidders' Bids and Qualification Information shall be submitted by the Bidders on the address indicated above on or before January 30, 2017, 15:00 local time. The Bids will be opened on January 30, 2017, 15:00 local time in the presence of those Bidders who choose to attend. Late Bids will be rejected.

The Bid including all necessary documents shall be submitted in English language. The Bid shall be submitted in a sealed envelope indicating the following information: To: Bidding Commission of "Energotrans" Ltd, Name of the Bidder, Name of the Bidding Process, Bidding # T02 S01/2016.

For participation in the Bidding the Bidders should submit the following qualification information together with their Bid:

For Georgian Bidders:

a) For legal entities and individual entrepreneurs of private law:

1. Extract from the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial (non-commercial) Legal Persons;
2. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
3. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

b) For Legal Entities under Public Law:

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

c) For physical persons:

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry);
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

For foreign Bidders:

Document indicating legal status of the Bidder issued by the relevant body of the Bidder's country in accordance with the applicable law.

The Bids will not be considered as acceptable and will not be allowed for further evaluation in the following cases:

- If the Bidder fails to submit all necessary documents (with supporting documentation) and/or information required by this procurement notice and Bidding Document;
- If in case of the request of the Bidding Commission the Bidder fails to specify, complete, submit or reconfirm the qualification information required by this procurement notice;
- If the Bidder refuses to correct arithmetical (mechanical) errors revealed in its Bid by Bidding Committee;
- If the Bid and/or qualification information are incompliant with the requirements prescribed in the Bidding Document and/or this procurement notice;
- If there is noted applying of unfair practice by the side of the Bidder in the process of procurement;
- Qualification data submitted by Bidder or the data given in the Bid, or the documents confirming them are found out to be false.

In case when the Bidder's Bid is in compliance with the technical requirements of the Bidding Document it is allowed to specify or complete the Bidder's Bid or re-submit required qualification information without changing the Bid's substance, otherwise The Bid will not be considered for evaluation.

The Bidder should submit only one Bid. Alternative Bids are not allowed.

Interested Legal entities may familiarize with the Bidding Document in the office of the Purchaser until the deadline for Bid submission.

This procurement Notice will be also published on the website of the Purchaser: www.energotrans.com.ge

Additional information could be obtained in the office of "Energotrans" Ltd at the address indicated above.

Contact persons:

Maia Gikoshvili, Deputy Director of "Eenergotrans" Ltd, Bid Commission Member, E-mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge

Tea Toriashvili, Procurement Manager, E-mail: t.toriashvili@energotrans.com.ge

განცხადება

2017 წლის 16 თებერვალს 13:00 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის.: მერაბ კოსტავას №18, 2600, ქ. კასპი), გაიმართება შპს „ბუგატო ენერჯი"-ს პროექტის მეტეხი-1 ჰიდროელექტროსადგურის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.

– საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ მისამართებზე:

– კასპის მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მის.: მერაბ კოსტავას №18, 2600, ქ. კასპი. ტელ.: +0370 22 24 48).

კომპანიის ოფისში (მის.: საქართველო, ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ., №3, ბ.9)

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: ლუკა ლებანიძე (+995599473049; ელ.ფოსტა: lk.lebanidze@gmail.com).

განცხადება

2017 წლის 17 თებერვალს, 14 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1) გაიმართება ყვარლის მუნიციპალიტეტში „ავანი ჰესის" და ქჰს „ახალსოფელი-35"-ის დამაკავშირებელი 35 კვ-იანი საკაბელო-საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია 35 კვ ძაბვის ეგხ-ს მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „ავანი ჰესი"-ს მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1;
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- კახა კობაიძე. ტელ: 595 72 70 70; E-mail: Avanhpp@gmail.com ;
- ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597728871; E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ენერგო ინვესტი"-ს ადმინისტრაცია

სარწყავი წყალი ქვემო ქართლის სპარგულებისთვის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია" ხრამ-არხის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებს, რომლის შედეგად მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში საირიგაციო მომსახურება გაუმჯობესდება.

სამუშაოების მიმდინარეობა შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალურმა დირექტორმა ლევან დვალმა და ქვემო ქართლის რეგიონის გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა მოინახულეს. ლევან დვალის განცხადებით, მიმდინარე სამუშაოების შედეგად, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 4 000 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმი.

„30 წელზე მეტია ხრამ-არხზე სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. მიმდინარე რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის, ვინაიდან ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ზრდას." – აღნიშნა პაატა ხიზანაშვილმა.



2012 წლიდან ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 23 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი რეგიონში 46 250 ჰექტარამდეა გაზრდილი.

◎ ბატუტზე ხტომა

ქართველთა სლავური ჯილდოები

ვიტებსკში **დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა ღია „სლავური თამაშები“, რომელშიც ოთხი ქვეყნის 10 გუნდი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. მათ შორის იყო თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების ცენტრისა და აიპ „ზევსის“ შვიდი სპორტსმენი (მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი, მწვრთნელი ზურაბ კიკნაძე, მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი როზა ბერიკაშვილი). 12-წლამდელთა სინქრონულ ხტომებში ანანო აფაქიძემ**

და მარიამ რაგიმოვამ 43,60 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენებმა მეორე ადგილზე გასულ მასპინძლებს — მარია სერგეევასა და ალექსანდრა სტოლიაროვას 1.7 ქულით აჯობეს.

16-წლამდელ სპორტსმენთა ინდივიდუალურ ხტომებში სოფო დაშნიანმა 48,765 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. მას ვიტებსკელმა ვალენტინა ბოგომოლოვამ (50.400) და ბრესტელმა პოლინა შვედკომ (49,800) გაუსწრეს. დაშნიანი მეგი ფარულუასთან ერთად სინქრონულ ხტომებშიც 41.80 ქულით მესამე იყო. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვიტებსკელი დები — მარია და ვალენტინა ბოგომოლოვები (44,60) ავიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში თბილისის ნაკრებმა (სოფო დაშნიანი, მეგი ფარულუა, ანანო აფაქიძე) მასპინძელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ ფარიკაობა

ძმების დუელი - ნახევარფინალში

რამდენიმე **წელიწადია, მოფარიკავეთა საქართველოს პირველობებსა და თასის გათამაშებებში ტრადიციად იქცა ქუთაისელი ძმების — ბექა და სანდრო ბაზაძეების ფინალური დაპირისპირება. ამ შეჯიბრებებში ხან ერთი იმარჯვებს, ხან — მეორე. გასულ უქმეებზე ტრადიცია დაირღვა — ბაზაძეები ამჯერად ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანთს. ბექამ 15:14 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც თანაქალაქელ ვაჟა რეჭიასაც მოუგო და მთავარი პრიზი დაიმსახურა. რიოს ოლიმპიადის მონაწილემ და ახალგაზრდებში სამგზის ევროპის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ მესამე ადგილი დაიკავა. ხმალში, რაპირასა და დაშნაში საქართველოს თასზე ჩვენი ქვეყნისა და სომხეთის 90-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

კვარცხლბეკი

ხმალი

ქალები. 1. ლიკა ჯიჯიეიშვილი, 2. დარია ანტონოვა, 3. მარიამ აფციაური, ელენე ნანობაშვილი (ყველა-თბილისი); **ვაჟები.** 1. ბექა ბაზაძე, 2. ვაჟა რეჭია, 3. სანდრო ბაზაძე (სამივე-ქუთაისი), ნიკა ჭეიშვილი (თბილისი).

რაპირა

ქალები. 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ანა ხელაძე, ნატალი ხარაიშვილი (ორივე-თბილისი); **ვაჟები.** 1. ლუკა ღაღანიძე, 2. არჩილ უგულავა, 3. ლაშა გალუაშვილი, სანდრო სიხარულიძე (ყველა-თბილისი).

დაშნა

ქალები. 1. მარია ზაკირჩენკო, 2. ქრისტინე მიქაძე, 3. ნათია ჩუბინიძე (სამივე-ქუთაისი), ანა მელია (თბილისი); **ვაჟები.** 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. რაზმიკ ვარდანიანი, 3. მიქაელ კაზარიანი (ორივე-სომხეთი), ლევან ფცქიალაძე (ქუთაისი).

გივი გაგუა

ლუკა ღაღანიძე

◎ კალათბურთი

გენერალური რეპეტიცია

ნბა-ს რეგულარულ სეზონში შარშანდელი ტურნირის ფინალისტები „კლივლენდ კავალიერზი“ და „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ პირველად ოჰაიოს შტატის დედაქალაქში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ვინაიდან ეს გუნდები წლეულსაც შესანიშნავად გამოიყურებიან და დამაჯეგრებლად ლიდერობენ საკუთარ კონფერენციებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოქროს ბეჭედს ამჯერადაც ისინი გაითამაშებენ, ამიტომ გუშინდელი მატჩი მომავალი ბრძოლების წინ გამართულ გენერალურ რეპეტიციად შეგვიძლია მივიჩნიოთ.



პირდაპირ უნდა ითქვას — სანახაობამ მოლოდინს გადააჭარბა და მასპინძლებმა უმძიმესი გამარჯვება მოიპოვეს — 109:108.

როგორც ყოველთვის, მათგან „მეფე“ ლებრონ ჯეიმსი (31 ქულა) და კევინ ლავი ბრწყინავდნენ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა კაირი ირვინგმა (25 ქულა) თქვა, რომელმაც ბოლო წამებზე ზღაპრული ბურთები ჩააგდო მრისხანე მეტოქის კალათაში.

რაც შეეხება ოკლენდელთა ახალ ყოჩს კევინ დიურანტს, მართალია, 36 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო პარკეტზე, მაგრამ უკანასკნელი იერიშის დროს წაბორძიკდა და არაზუსტი ტყორცნა შეასრულა, სტეფ კარიმ კი შეხვედრა აშკარად ჩააგდო და მხოლოდ 15 ქულას მოუყარა თავი. მისი ასეთი ფიასკოს ფონზე კლეი ტომპსონის შედეგიან თამაშს მხოლოდ სტატისტიკოსებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა.

4 ქულა და 5 მოხსნა — ასეთი მოკრძალებული პირადი მონაგრით დაასრულა პრინციპული დუელი ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც სარბიელზე 12 წუთი გაატარა, თუმცა, თვით ის ფაქტი, რომ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სპორტული ტანვარჯიში



ბიძინა სიჭინავა

„ოქროდე“ ცოტა დააკლდათ

მოსკოვი **ყოველწლიურად მასპინძლობს სპორტულ ტანვარჯიშში ორორგზის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონ მიხაილ ვორონინის თასის გათამაშებას. ამჯერად რუსეთის დედაქალაქში 24 ქვეყნის სპორტსმენები შეიკრიბნენ. მოასპარეზეთა შორის საქართველოს წარმომადგენლებიც იყვნენ: უფროსებში ვაჟთა შორის ორი ჩვენებური გამოდიოდა. მრავალჭიდში კონსტანტინ კუზოვკოვმა 80,266 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა, ხოლო დმიტრი გოვოროვი 79,266 ქულით 21-ე ადგილს დაყაბულდა. ბჯენით ხტომებში კუზოვკოვმა 14.450 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, გოვოროვს კი ამავე დისციპლინაში 14,133 ქულით ბრინჯაოს მედალი ხვდა. პირველ ადგილზე ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი არტურ დავთიანი (სომხეთი, 15,066) გავიდა. კუზოვკოვს 13,500 ქულით თავისუფალ ვარჯიშში მე-6, ხოლო ტაიჭზე 11,9 ქულით მერვე ადგილი ერგო.**

ახალგაზრდებში ვაჟთა შორის ქართველთაგან ბიძინა სიჭინავა გამოდიოდა. მრავალჭიდში მან 77,032 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა, ორძელზე კი 13 ქულით მე-4 ადგილს დასჯერდა. ქართველ სპორტსმენს ვლადისლავ გუდზიმ (რუსეთი, 14,200), კარლოს იულომ (ფილიპინები, 13,800) და დანიილ ივანოვმა (რუსეთი, 13,660) აჯობეს.

ქალთა ტურნირში საქართველოს ნაკრების წევრმა ანასტასია სიდოროვამ, რომელიც ექვსი თვეა, ჩვენი ქვეყნის სახელით გამოდის, მრავალჭიდში მე-18 ადგილი დაიკავა, ოღონდ სამი იარაღის ქულათა ჯამით, ხოლო ბჯენით ხტომებში, სადაც 12,683 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა, ტრავმა მიიღო და მწვრთნელებმა იგი თავისუფალი ვარჯიშიდან მოხსნეს.

ახალგაზრდებში მარია ბუცკიხი მრავალჭიდში 50.034 ქულით მე-8 ადგილს დასჯერდა, ორ იარაღზე კი ფინალშიც მოსინჯა ძალები: თავისუფალ ვარჯიშში 12,667 ქულით მეხუთე, ხოლო ხტომებში 13.100 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა.

საქართველოს სპორტული ტანმოვარჯიშეები ნაახალწლევს ევროპის ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას. ამ შეჯიბრებას აპრილში რუმინეთი უმასპინძლებს.

ლექსო ციცაძე

◎ რაგბი

მამუკაშვილის პირველი ფრანგული დუბლი

ტოპ 14-ის მე-14 ტურის ცენტრალურ მატჩში ქართული დერბი შედგა. მიხეილ ნარიაშვილის, დუდუ ქუბრიაშვილის, კოტე მიქაუტაძის, გაგი ბაზაძისა და შალვა მამუკაშვილის „მონპელიემ“ მამუკა გორგოძის, ლევან ჩილაჩავასა და ბადრი ალხაზაშვილის „ტულონი“ 33:29 დაამარცხა. განსაკუთრებით გამოირჩა „ბორჯღალოსანი“ მამუკაშვილი, რომელმაც ფრანგულ კარიერაში თავისი პირველი დუბლი შეასრულა

ქართველმა კვაჭმა მოლი ლელოთი პირველად 37-ე, ხოლო მეორედ 54-ე წუთზე დაასრულა. „მონპელიეს“ კვართით მამუკაშვილს ლელო ჩემპიონთა თასზე ჰქონდა დადებული, საფრანგეთის ჩემპიონატში კი პირველად გამოირჩა. „ტულონის“ წინააღმდეგ მან 75 წუთი ითამაშა. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და სრულად გაისარჯა მეორეხაზელი მიქაუტაძე. სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს ბურჯი ლევან ჩილაჩავა; 75-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა კვაჭი ალხაზაშვილი, რომელმაც ტოპ 14-ში მეორედ ითამაშა.

გათამაშების ლიდერმა „კლერმონმა“ „სტად ფრანსეს“ 6 ლელო დაუდო და ბონუს ქულით დაამარცხა — 46:10. მატჩში ოთხმა ქართველმა ლეგიონერმა მიიღო მონაწილეობა და ოთხივე შეცვლაზე შევიდა. გამარჯვებულთა შორის 62-ე წუთიდან ითამაშა დავით ზირაქაშვილმა, ხოლო 71-ედან — ვიტო კოლელიშვილმა; „სტად ფრანსეს“ რიგებში 59-ე წუთზე გამოჩნდა ზურაბ ჟვანია, 64-ე წუთიდან ითამაშა გიორგი მელიქიძემ.

ვასილ კაკოვინის „ტულუზა“ „გრენობლს“ ეწვია და 22:26 დამარცხდა. ქართველი ბურჯი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს. ლექსო ყაულაშვილის „ლა როშელმა“ დავით ხინჩაგიშვილის „ბაიონს“ გასვლაზე 42:17 სძლია. სტუმართა შორის 65-ე წუთიდან ითამაშა ყაულაშვილმა.



ქართველი ლეგიონერების ინგლისური კლუბები დღეს ითამაშებენ — გიორგი ნემსაძის „ბრისტოლი“ ჯაბა ბრეგვაძის „ვუსტერს“ მასპინძლობს. ბრეგვაძე სასტარტო შემადგენლობაშია და თამაში თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

საფრანგეთის მეორე ელიტარულ დივიზიონ პრო დ2-ში საშობაო შესვენებაა და მეორე წრე 5 იანვარს იწყება.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

„ბილბაოს“ მცველს სიმსივნე აღმოაჩნდა

„ბილბაოს“ ცენტრალურ მცველს იერაი ალვარესს სიმსივნე აღმოაჩნდა — აღნიშნულ ინფორმაციას წამყვანი ესპანური გამოცემები ავრცელებენ.

21 წლის ფეხბურთელს სათესლე ჯირკვლის სიმსივნე დაუდგინდა და მომავალ კვირას ოპერაცია ჩაუტარდება.

ალვარესი ბასკური კლუბის ძირითად შემადგენლობაში მიმდინარე სეზონში გამოჩნდა და 17 შეხვედრა ჩაატარა.

გიორგი შოთაძე

სანთელი

ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის



ქალბატონ ნინო ქორჩილავას, რუსუდან და ილია რუსიეებს

თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის ღვთისმსახურნი, თანამშრომლები და მრევლი გულწრფელ მწუხარებას გამოხატავენ თქვენი მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

დიდია თქვენი ტკივილი, ღრმაა ამ აუნაზღაურებელი დანაკარგის თქვენეული განცდა, სულიერი სიმძიმითაა აღბეჭდილი ყოველი დღე და ამიტომაც ვბედავთ, ჩვენს მოვალეობად მივიჩნიოთ, გითხრათ თანადგომისა და თანაგრძნობის ეს სიტყვები.

ბატონმა რუსლანმა (რომანოზმა) ჩვენს გულებში სიყვარულითა და სითბოთი სავსე ადგილი დაიკავა. მისი სიწრფელე, სიკეთისადმი ლტოლვა, უანგარობა, რაინდობა, კეთილშობილება, ერთგულება, შერწყმული დიდ მამულიშვილობასთან, მაღალ პროფესიონალიზმთან, ღვთის რწმენასთან გამოარჩევდა ამ შესანიშნავ ადამიანს მრევლში, საზოგადოებაში, კოლეგათა შორის.

ჩვენ ვლოცულობთ ბატონ რუსლან-რომანოზის სულის საცხოვნებლად, რათა უფალმა და მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ შეიწყალოს იგი და მართალთა თანა დააწესოს.

ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის, რათა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა თავის საფარველქვეშ დაიცვას თქვენი ოჯახი.

ღრმა პატივისცემითა და
ქრისტესმიერი სიყვარულით
არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე).

ქომაგი და ჭეშმარიტი ჟურნალისტი

სენაკის რაიონის შემოქმედებითი ინტელიგენცია ღრმა მწუხარებით შეხვდა მადლიანი, გამორჩეული ჟურნალისტის, გამოცდილი რედაქტორისა და გულითადი მეგობრის **რუსლან რუსიას** გარდაცვალებას.

მას უფალმა მოამადლა მრავალმხრივი ნიჭი, რომელიც სამართლიანობის დამკვიდრებას, ჟურნალისტური ეთიკის დაცვასა და ქვეყნის გაძლიერებისთვის ზრუნვას მოახმარა. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ადამიანს ყველა სანუკვარი სურვილის ახდენა არ უწერია. ბატონ რუსლანს დარჩა არაერთი კეთილი სურვილი განუხორციელებელი, რაც სამწუხარო და დასანანია.

ბატონი რუსლანი ჩვენს ქალაქში ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების აქტიური მონაწილე და გულმხურვალე ქომაგი იყო. მუდამ გვერდში მდგომი. ამის დასტურია წელს გამოცემული „სენაკის მატიანის“ რედაქტორობა, რომლის დახვეწასა და გამოცემაში დიდი წვლილი შეიტანა. ეს ყოველივე დაუვიწყარია.

გმადლობთ ამისთვის ბატონო რუსლან. ნათელი არ მოკლებოდეს თქვენს უმწიკვლო სულს.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი. სენაკი.

ოქროსგულიანი და ღიმილიანი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

მეგობრებო!

სიტყვები არ მყოფნის იმ მწუხარებისა და სინანულის გამოსახატავად, რაც გამოწვეულია თქვენი, ჩვენი საერთო მეგობრისა და თანამებრძოლის **რუსლან რუსიას** გარდაცვალების გამო.

ბატონი რუსლანი დიდი ადამიანი იყო — ფიზიკურად, სულიერად, თავისი პროფესიონალიზმით, გულღიაობით და პირდაპირობით. მას თქვენთან ერთად მოუწია ჩვენი ქვეყნის მეტად რთულ, შეიძლება ითქვას, ტრაგიზმითა და უსამართლობით აღსავსე ცხრაწლიან პერიოდში ჟურნალისტის, პუბლიცისტის ესოდენ საპატიო და საპასუხისმგებლო სახელთან ერთად მშობლიური გაზეთის დაცვა, არ დაუკარგავს მდგომარეობის გამოსწორების იმედი, ირგვლივ მხოლოდ სიკეთესა და ჰუმანიზმს ასხივებდა. ჭეშმარიტად, ის არა მარტო იყო ყველა ჟურნალისტისათვის საოცნებო და საამაყო „ოქროს ფრთის“ კავალერი, არამედ ბუნებით მომადლებული ოქროსგულიანი ადამიანიც.

ასეთი — ოქროსგულიანი და ღიმილიანი დარჩება **რუსლან რუსია** ჩემს ხსოვნაში.

იოსებ არჩვაძე,
პროფესორი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი დიდად დამწუხრებულია უკეთილშობილესი ადამიანის, ვეტერანთა კავშირის მხარდამჭერისა და მეგობრის, ბატონ

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი და თბილისის ვეტერანთა საქალაქო რაიონული კავშირები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანთა მთაწმინდის რაიონული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ ბართაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავტოსაგზაო შემთხვევა ახმეტაში

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ახმეტაში 2 ადამიანი გარდაიცვალა , ერთი კი მძიმედ დაშავდა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რომან შამათავას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

კუდ-ის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს რომან შამათავას თბილისის საქალაქო სასამართლომ რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

რომან შამათავა პასუხისგებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის პაატა ქარდავასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამმართველოს რეინჯერის დათო ცინდელიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასა და განზრახ მკვლელობისთვის მიეცა.

გამოძიების ინფორმაციით, შამათავამ ცინდელიანს 2008 წლის აგვისტოში თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა, რის შემდეგაც ბათუმში, ზღვაში ნავით გაიყვანა, თავში გასროლით მოკლა, კვალის დაფარვის მიზნით ცხედარს მძიმე საგანი გამოაბა და ზღვაში ჩააგდო.

ბრალდების თანახმად, ანალოგიური ქმედებით შამათავამ 2008 წლის 27 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოფიცერი პაატა ქარდავა მოკლა და მისი ცხედარიც ზღვაში ჩააგდო.

საგამოძიებო უწყების ცნობით, კუდ-ის აფხაზეთის სამმართველოს ყოფილი უფროსი შამათავა ცინდელიანს და ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა.

◎ საყოფაცხოვრებო სიბინძურის სნეულებანი

შიდსით

დაავადებულ დედას ხშირად ჯანმრთელი შვილი უჩნდება!

კარგა ხანია, შიდსი, ანუ აივ ვირუსი კაცობრიობის არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემაა. ეპიდემიის დასაწყისში მოსახლეობაში გავრცელებული იყო აღნიშნული დაავადების შიში, რამეთუ იმ დროს არ არსებობდა ზუსტი ინფორმაცია ვირუსის გადადების გზებზე. ასეთი ვირუსით დაავადებული ადამიანი გარიყულად ითვლებოდა. ამიტომ აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რას წარმოადგენს აივ ვირუსი და როგორია მისი გადადების გზები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება შიდსისა და იმუნოდეფიციტების დისპანსერული განყოფილების გამგე, პროფესორი **ლალი შარვაძე.**

— ქალბატონო ლალი, რა არის აივ ინფექცია და როგორია მისი გადადების გზები?

— შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. ეს ვირუსი ცოცხლობს მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში, აზიანებს ადამიანის დამცველ ე.წ იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოყავს იგი. ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში, რომელიც 5-6 წელიც შეიძლება გაგრძელდეს, ადამიანი შეიძლება ჯანმრთელად გრძნობდეს თავს. შიდსი კლინიკურად ვლინდება იმუნური სისტემის ღრმა დაზიანების შემდეგ და ახასიათებს ძლიერი საერთო სისუსტე, ძლიერი ოფლიანობა (განსაკუთრებით ღამით), თეთრი ფერის ნადები პირის ღრუს ლორწოვანზე, ტემპერატურის უმიზეზო მატება (1თვეზე მეტი ხნის განმავლობაში), ლიმფური კვანძების გადიდება, მუქი წითელი ფერის ლაქები კანსა და ლორწოვან გარსზე, გახანგრძლივებული პნევმონია (ფილტვების ანთება), რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას, პათოლოგიური მოვლენები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ, წონაში კლება და სხვ. ეს სიმპტომები შეიძლება სხვა დაავადებებსაც ახლდეს, ამიტომ საჭიროა ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება, რომ განისაზღვროს ამ ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები. ამ ანტისხეულების არსებობა სისხლში გახლავთ უტყუარი ნიშანი ინფიცირებულობისა. რაც შეეხება შიდსის გადადების გზებს, ძირითადად ხდება შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტით, აივ ინფიცირებულის სისხლით, დაბინძურებული შპრიცის და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით. შიდსი ხშირად გვხვდება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებში.

შიდსის ვირუსი არ გადაეცემა სოციალური და საყოფაცხოვრებო კონტაქტებით, დაინფიცირებული ადამიანის მიერ გამოყენებული ჭურჭლით, თეთრეულით, საერთო საპირფარეშოთი ან აბაზანით სარგებლობის დროს, ჰაერ-წვეთოვანი გზით, ხველებით, ნერწყვით, კოცნით ან ცხვირის დაცემინებით. არ არის საშიში ინფიცირებულთან საუბარი, ყოფნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ვირუსი არ გადადის ცხოველებისა და მწერების საშუალებით.

— სტატისტიკურად როგორია მაჩვენებელი საქართველოში შიდსის ვირუსის გავრცელებისა?

— სავარაუდოდ, ექსპერტები ფიქრობენ, რომ საქართველოში შესაძლებელია დღეს იყოს 6000 შემთხვევა, რადგან დაავადება ძალიან დიდხანს უსიმპტომოდ მიმდინარეობს და არის ბევრი ადამიანი, რომელიც დაინფიცირებულია და არ იცის ამის შესახებ.

— რა ტემპით იზრდება დაინფიცირებულთა რაოდენობა?

— სამწუხაროდ, რაოდენობა მატულობს, მაგრამ ეს, ჯერჯერობით, საგანგაშო მატება არ არის.

— როგორ ხდება მკურნალობა?

— საქართველოში შიდსის დაავადებას მკურნალობენ მსოფლიოში ერთ- ერთი საუკეთესო ექიმები და დიდი მიღწევები გვაქვს ამ მხრივ. როცა პაციენტმა იცის, რომ აივ ინფიცირებულია, ფატალურად უკვე აღარ მთავრდება ეს შემთხვევა. არსებობს ძალიან კარგი მკურნალობის მეთოდები და ამ მკურნალობის შედეგად პაციენტები ძალიან კარგად გრძნობენ თავს. შიდსი არ არის განკურნებადი დაავადება, მაგრამ თუ პაციენტი დროულად მიმართავს სპეციალისტს და დაიწყებს მკურნალობას, შედეგი გარანტირებული იქნება, თუმცაღა, მედიკამენტოზური მკურნალობა გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ყველამ არ იცის, რომ შიდსით დაავადებულ დედას შესაძლოა, ჯანმრთელი შვილი ეყოლოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროულად მოხდა დაავადების აღმოჩენა ორსულობის პერიოდში, დაინიშნა შესაბამისი მკურნალობა და იმყოფება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

— გმადლობთ იმედიანი საუბრისთვის.

ესაუბრა
ირინა ტატიშვილი

◎ უცხოეთის სიახლენი

მილოცვაც ამას ჰქვია

ჩეხეთის პრეზიდენტმა თანამემამულეებს შობა უცნაურად მიულოცა. მილოშ ზემანმა ჩეხეთის მოქალაქეებს საფრთხეებით სავსე ცხოვრება უსურვა. **„სიკეთისა და ბედნიერების სურვება ბანალურად და მოსაწყენად მეჩვენება. შევეცდები, ორიგინალური ვიყო. მინდა, სახიფათო ცხოვრება გისურვოთ, რომელიც სავსე იქნება რისკებით, ბრძოლითა და გამარჯვებებით. ბრძოლის გარეშე ხომ გამარჯვება არ არსებობს,“** — განაცხადა ჩეხეთის ლიდერმა საშობაო მიმართვაში.

მიწისძვრა ჩილეში

ერთდროულად ორი მიწისძვრა მოხდა ჩილეში. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე 7,6 მაგნიტუდას შეადგენდა. ეპიცენტრი ბოლივიის საზღვართან დაფიქსირდა. სტიქიას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია, თუმცა არსებობდა ცუნამის საშიშროება, რის გამოც სანაპირო რაიონებში ევაკუაცია გამოცხადდა. მოგვიანებით ცუნამის საფრთხე მოიხსნა.

ჯორჯ მაიკლი გარდაიცვალა

ინგლისში 53 წლის ასაკში ცნობილი მომღერალი ჯორჯ მაიკლი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ბოლოს შეუძლოდ მაიკლი 2011 წელს გახდა. მომღერალს პნევმონიის მძიმე ფორმა ჰქონდა, რის გამოც კონცერტები გადადო, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა. იორგოს კირიაკოს პანაიოტუ ლონდონში 1963 წელს დაიბადა. მისი მუსიკალური კარიერა 80-იან წლებში დაიწყო დუეტით Wham, რომლის დაშლის შემდეგაც მომღერალმა სოლო კარიერა გააგრძელა. მაიკლი 3 გრემის და MTV-ის პრემიის ხუთგზის მფლობელი იყო. ბოლო ალბომი მან 2014 წელს ჩაწერა.

ალეპოსთან შეტაკებები გრძელდება

სირიაში შეტაკებები გრძელდება. სახელისუფლებო ძალებმა ალეპოდან 40 კილომეტრში ისლამური სახელმწიფოს მებრძოლთა მასირებული იერიშები მოიგერიეს. ისლამისტები დეირ-ხაფირის რაიონის დაკავებას უკვე მეორე დღეა, ცდილობენ. ასადის არმიის საშეთაურო შტაბი ირწმუნება, რომ შეტაკებებს 50-მდე ისლამისტი ემსხვერპლა.

ნადეჟდა სავჩენკო უკრაინის უშიშროების სამსახურმა დაკითხა

უმაღლესი რადის დეპუტატს კითხვები დონბასის დე ფაქტო ლიდერებთან შეხვედრის შესახებ დაუსვეს. „არ ვთვლი ნორმალურად, როდესაც პარლამენტის დეპუტატი და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე სეპარატისტთა ლიდერებს ხვდება, შეხვედრის დროს ტელეფონი გამორთული აქვს და კონსპირაციულ მოლაპარაკებებს აწარმოებს,“ — განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსმა ვასილი გრიცაკმა. სეპარატისტთა ლიდერებთან შეხვედრის გამო სავჩენკო პარტია ბატკივშინადან და საპარლამენტო ფრაქციიდან გარიცხეს. მას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგატის მანდატიც ჩამოართვეს.

კომპლექსების დამჯაბნელნი



პატარა შინაურ ცხოველებთან ურთიერთობა ადამიანებს შინაგანი გულჩათხრობილობის გადალახვასა და კომპლექსების დაძლევაში ეხმარება — ეს დასკვნა ინგლისელმა მეცნიერებმა რიგი ექსპერიმენტის შედეგების დაჯამების შემდეგ გამოიტანეს.

მსგავსი ზემოქმედების მექანიზმი ასეთია: შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევით და „წვრილფეხობის“ შეყვარებით — პატარა ხვლიკი, ზაზუნა თუ ციყვი იქნება ეს, ადამიანი საკუთარი თავის დაძლევას ყველა სხვა ცხოვრებისეულ ვითარებაშიც სწავლობს.

ლაპარაკი საჭესთან

სატელეფონო საუბრები მძღოლს ყურადღებას უფანტავს იმ შემთხვევაშიც, თუკი ის უმავთულო კავშირით სარგებლობს, დაასკვნეს სასექსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერებმა.

აღმოჩნდა, რომ ამ დროს მძღოლები ნაკლებად ყურადღებიანები ხდებიან და პოტენციურ საფრთხეებსაც ნაკლებად ამჩნევენ. საქმე ისაა, რომ ადამიანები უნებლიეთ წარმოიდგენენ იმას, რაზეც საუბრობენ, ამიტომაც გზას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

გარდა ამისა, მეცნიერები ლაპარაკის დროს თვალებსაც აკვირდებოდნენ და დაადგინეს, რომ მანქანის მმართველი და, ამავდროულად, ტელეფონზე მოლაპარაკე ადამიანები მხოლოდ მათ წინ პატარა უბანზე არიან კონცენტრირებულნი, ხოლო პერიფერიულ მხედველობას, ფაქტობრივად, არ იყენებენ.

მკვლევართა აზრით, **მანქანის მართვისას უმჯობესია ტელეფონის საერთოდ გათიშვა.** აღმოჩნდა, რომ მგზავრებთან ლაპარაკი მძღოლს ყურადღებას ნაკლებად უფანტავს, რადგან მგზავრები თავადაც აფასებენ ვითარებას და მშვენივრად ესმით, თუ როდის არ ღირს მძღოლის მოცდენა.

ცისფერი თვალების გამოცანა

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა ჰანს ეიბერგის ხელმძღვანელობით გენეტიკურ პროცესს დააკვირდა, რომლის შედეგად... ცისფერი თვალები გაჩნდა.

დანიელ მეცნიერთა დასკვნით, ყველა ცისფერთვალება ადამიანი გენეტიკურად შავი ზღვის რეგიონში 6-10 ათასი წლის წინათ მცხოვრებ ადამიანთანაა დაკავშირებული. მანამდე კი ყველა ადამიანი ყავისფერთვალება იყო. ცისფერი თვალები — ესაა მუტაციის შედეგი, რომელიც 8 ათასი წლის წინათ მოხდა და ეგრეთ წოდებულ OCA — გენზე იმოქმედა, რომელიც თმის, თვალისა და კანის ფერზე პასუხისმგებელი პიგმენტის **მელანინის** წარმოებაზეა პასუხისმგებელი.

— აღნიშნულმა მუტაციამ ჩვენ გენებში ერთგვარი „გამომრთველი“ წარმოშვა, რომელმაც, რასაც ჰქვია, „ჩააქრო“ ყავისფერი თვალების წარმოების უნარი, — ამბობს პროფესორი ეიბერგი. — ეს „გამომრთველი“ თვალის ფერად გარსში „აქრობს“ მელანინის წარმოებას, რის შედეგად ყავისფერი თვალი ცისფერამდე ბაცდება. ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ **ყველა ცისფერთვალება ადამიანს ერთი საერთო წინაპარი ჰყავს, რომლებმაც ეს „გამომრთველი“ დნკ-ს ერთსა და იმავე უბანზე მემკვიდრეობით მიიღეს.**

ეს გენეტიკური ფენომენი შემდგომ რაღაც გზით ევროპიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ მოხდა, რომ 10 ათასი წლის წინათ დედამიწაზე ცისფერთვალება ხალხი არ იყო, ამჟამად კი ევროპელთა 20-40 პროცენტს ცისფერი თვალები აქვს? მით უმეტეს, რომ სკანდინავიის ქვეყნებში მოსახლეობის 95 პროცენტი ცისფერთვალებაა?

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7507; ევრო - 2.8739;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3715;
100 რუბლი - 4.5036; თურქული ლირა - 0.7830;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5062;
1000 სომხური დრამი - 5.7068.

ამინდი 27 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -6	დღე +9
ემთიანი რაიონები -	ღამე -10	დღე +5
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +12
ემთიანი რაიონები -	ღამე -5	დღე +10
თბილისი:	ღამე -2	დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE